



# კანონის და განკარგულების კანისული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის  
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის  
დეკემბრის 31

**№ 16**

განყოფილება ბირეველი

ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონ-  
მდგრადი კომისიასთან არ-  
სებულო კანონთა გამოქვე-  
ყნების განყოფილების მიერ  
გამოცემული.

## შ 0 6 1 5 6 0:

- მუხ. 788. დებულება ა/კსტსრ უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო  
კომისიის შესახებ.
- „ 789. ჯულის საბაჟო შტატე ტეირთის გადაზიდვის ტარიფისა, ეჩმაძინის კარიერიდან  
კუნძა-ბალასტის გადაზიდვის საორგანიზაციო გამოსალებისაგან განთავისუფლებისა და  
რძის გადაზიდვის ტარიფის დაწესების შესახებ.
- „ 790. ა/კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის მიერ მე-2 სეიიდან  
მე-3 სეიიმდე მიღებული დეკრეტებისა და დადგნილებების დამტკიცების შესახებ.
- „ 791. ა/კსტსრ მრეწველობის შესახებ.
- „ 792. ა/კსტსრ 1926-1927 წ. სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.
- „ 793. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მიზნებისა და მისი წარმატებით გან-  
ხორციელების პირობების შესახებ.
- „ 794. ლენინგრადის რაიონში მომხდარი მიწისძერის შესახებ.
- „ 795. აზერბაიჯანის სოც. საბ. რესპუბლიკის მთავრობის მოქმედების ანგარიშის შესახებ.
- „ 796. განჯის აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების ანგარიშის შესახებ.
- „ 797. ა/კსტსრ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსალებისა და ბაჟის მე-  
ნარჩენეთა ქონების შეკვერისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების 32 და 33  
მუხლის შეცვლის შესახებ.
- „ 798. რაფინად-შექრის ცალბითი ფასების შესახებ.
- „ 799. საბუპალტერი ჩანაწერებისთვის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.
- „ 800. ამიერკავკასიის დეპარტა საგენტოს დებულების 1-ლი მუხლისა და მე-2 მუხლის „ე“  
პუნქტის შეცვლის შესახებ.
- „ 801. სოფლის საბჭოების მეტ საფინანსო ნიშვნების გაყიდვის შესახებ.
- „ 802. ა/კსტსრ სოციალური დაზღვევის ორგანიზების მიერ დაცერილი საგრძლების საიჯარო  
ეირის შესახებ.
- „ 803. სამოხ. სამსახურთა წარმოების დროს უშიშროების დაცვის წესების 258—262 ჩა-ის  
შეცვლის შესახებ.

## დადგენილება № 45 აპსცის სახალხო კომისართა საგზოსი

**788.** ა/ქსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ა/ქსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/ქსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. სოკოლოვსკი.

1926 წლის დეკემბრის 10. ტფილისი — სასახლე.

## დაგულება აპსცის უმაღლეს ეკონომიკურ საგზოს- თან არსებული სახალხო მიზანი საგეგმო კომისიის უსახებები

I. ა/ქსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის ძირითად მიზანს შეადგენს ა/ქსფსრ მეურნეობისა და სოციალ-კულტურული აღმშენებლობის გეგმების შემუშავება და აგრეთვე ამ გეგმების განხორციელებისათვის სისტემატიურად თვალყურის დევნება.

II. ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ა/ქსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მუდმივი ორგანო, მოქმედობს ამ უკანასკნელის უშუალო ხელმძღვანელობით და ამასთან ერთად ანხორციელებს სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დავალებებს საკუთხირო მნიშვნელობის სამეურნეო გეგმების შემუშავების საქმეში.

III. ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაეკისრება:

ა) შეიტუშაოს, ა/ქსფსრ მთავრობის დირექტორივებისა და სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საერთო დირექტორივების საფუძველზე, მეურნეობისა და სოციალ-კულტურული აღმშენებლობის საპრასპექტივო გეგმა და წარუდგინოს იგი სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიას მეურნეობის საერთო-საკუთხირო გეგმასთან შესათანხმებლად;

ბ) შეიმუშაოს, საპრასპექტივო გეგმის საფუძველზე, ა/ქსფსრ მეურნეობის წლიური გეგმები მთლიანად და მისცეს დირექტორივები ა/ქსფსრ სახალხო კომისარიატების საგეგმო კომისიებს და ა/ქსფსრ შედგენილობაში შემვალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს საოპერაციო გეგმების შესადგენად, ა/ქსფსრ და კავშირის მეურნეობის საერთო გეგმასთან შეფარდებით;

გ) განიხილოს ა/ქსფსრ წლიური ბიუჯეტის პროექტი და სათანადო მოხსენება წარუდგინოს ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, აგრეთვე განიხილოს

და ა/კსფსრ ბიუჯეტთან შეათანხმოს აქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ადგილობრივი ბიუჯეტები;

დ) სისტემატიურად შეისწავლოს სახალხო მეურნეობისა და სოციალ-კულტურული აღმშენებლობის სხვადასხვა დარგის მდგრამარეობა;

ე) განიხილოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ოპერატიული გეგმების ის ნაწილი, რაც სამეურნეო პრობლემებს შეეხდა, რათა ეს გეგმები შეოთხმებულ იქნეს გეგმიან მუშაობასთან;

ვ) შეიმუშაოს და განიხილოს ა/კსფსრ დარაიონების საკრთხი;

ზ) განიხილოს და შეიმუშაოს, როგორც თავისი ინიციატივით, ისე ა/კსფსრ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოებისა და სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დავალებით, სხვადასხვა საკითხი და ღონისძიება ქვეყნის ბუნებრივ სიმღიდრეთა საუკეთესოდ გამოყენებისათვის და აგრეთვე ყველა იმ ორგანოს მოქმედების შეფასებისა და მოწესრიგებისათვის, რომელიც ა/კსფსრ საწარმოო ძალთა გამოკვლევას აწარმოებს;

თ) განიხილოს და შეათანხმოს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა, საქრედიტო, სადასახლვეო და კოოპერატიული დაწესებულებებისა და ადგილობრივი საგეგმო ორგანოების საოპერაციო გეგმები და საგეგმო განზრახულებანი და ავრეთვე დააწესოს შესასრულებლე საგეგმო სამუშაოთა წარმოების რიგი;

ი) განიხილოს და შეაფასოს საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა სამეურნეო გეგმებისა და წარმოებითი პროგრამების ის ნაწილი, რაც შეეხდა ამ დაწესებულებათა და საწარმოთ მოქმედებას ა/კსფსრ ტერიტორიაზე, და თავისი დასკვნა,—მას შემდეგ, რაც მას ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიკური საბჭო განიხილავს,—აცნობოს სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიას; აგრეთვე განიხილოს და მისცეს დასკვნა საერთო-საკავშირო ბიუჯეტის იმ ნაწილის თაობაზე, რაც ა/კსფსრ შეეხება;

კ) სისტემატიურად თვალყური ადვენოს სახალხო მეურნეობის კონიუნქტურას, შეადგინოს ხოლმე პრიორული მომხილვა და წარუდგინოს იგი ა/კსფსრ მთავრობას და სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიას;

ლ) შეიმუშაოს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დავალებით, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობისა და სოციალ-კულტურული აღმშენებლობის გეგმასთან დაკავშირებული საკითხები;

მ) ხელმძღვანელობა, და ინსტრუქტორია გაუწიოს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საგეგმო კომისიების მოქმედებას და აგრეთვე დაამტკიცოს ზემოაღნიშნული ახალი სამეურნეო ორგანოების სამუშაოთა პროგრამები.

IV. მე-III მუხლში აღნიშნულ მოვალეობათა განსახორციელებლად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება ეძლევა:

ა) შეიმუშაოს დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები საგეგმო ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით და წარუდგინოს ეს პროექტები ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს;

ბ) მიიღოს და განიხილოს საანგარიშო ცნობები მე-III მუხლში აღნიშნული გეგმების შესრულების შესახებ;

გ) მისცეს დასკვნა ეკონომიკური და ფინანსიური საკითხების დარგში შემუშავებული უაღრესი მნიშვნელობის დეკრეტებისა და დადგენილებების პროექ-

ტების შესახებ, რაც უწყებათა მიერ შეტანილ იქნება ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში;

**შენიშვნა.** ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის უფლება აქვს იშუამდგომლოს. ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წინაშე, რათა მათ არ განიხილონ ის საკითხი, რომელსაც ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინასწარი დასკვნა არა აქვს. (დ) უშუალო ურთიერთი მამართვა იქონიოს ა/ქსფსრ ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან იმ საკითხების გამო, რაც სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულებას უკავშირდება, და აგრეთვე სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისასთან;

ე) მოიწყოთ ხოლმე ყრილობა, თათბირი, კონფერენცია და სხვ. დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების გამო.

V. ა/ქსფსრ მეურნეობისა და სოციალ-კულტურული აღმშენებლობის საპერსპექტივო და წლიურ გეგმებს ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია წარუდგენს დასამტკიცებლად უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ან ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

VI. ა/ქსფსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე საერთო-საკავშირო დაწესებულება და საწარმო, რომელიც ა/ქსფსრ ტერიტორიაზე მოქმედობს, მოვალეა წარუდგინოს ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვილი ყოველგვარი ცნობა და მასალა და აგრეთვე მისცეს გას საკირო განმარტებანი.

VII. ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თაემჯდომარე ან მისი მოადგილე მონაწილეობას მიიღებს ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სხდომაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

VIII. ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი შესდგება თავმჯდომარისა და მისი ორი მოადგილისაგან და წევრებისაგან, ვისაც ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დანიშნავს.

**შენიშვნა 1.** რესპუბლიკური სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე მონაწილეობას მიიღებს ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სხდომაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

**შენიშვნა.** ა/ქ. ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს მმართველი შედის პრეზიდიუმის შედგენილობაში წევრის უფლებით.

**შენიშვნა.** ა/ქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატისა და ა/ქ. პროფესიურთა საბჭოს წარმომადგენელი მონაწილეობას მიიღებენ პრეზიდიუმის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით.

IX. ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და მისი ორგანოების შესახაი ხარჯი მიეკუთვნება ა/ქსფსრ საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტს ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხარჯთაღრიცხვით.

კრედიტების განმკარგულებელი ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეა.

X. ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის აქვს თავისი ბეჭედი. გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 1362 №-ში 1926 წ. დეკემბრის 23-ს.

# დადგენილება ამიერქავპასიის რკინის გზათა სამ- მართველოსთან არსებული საუწყებათაშროების სტარივო თათგირისა

1926 წლის დეკემბრის 15.

- 789.** ჯულფის საბაჟო შტოზე ტვირთის გადაზიდვის ტარიფისა, ეჩმიაძინის კარიერიდან ქვიშა-ბალასტის გადაზიდვის საორგანიზაციო გამოსალებისაგან განთავისუფლებისა და რძის გადაზიდვის ტარიფის დაწესების შესახებ.

## № 16—4/9.

ამიერქავპასიის რკინისგზათა ადგილობრივი ტარიფი № 50 (04)

ჯულფის საბაჟო შტოზე ტვირთის გადაზიდვის ტარიფის დაწესების შესახებ.

გადაზიდვის სასყიდლის გადახდა ა.კ. რკინისგზათა სადგურ ჯულფას და ამ სადგურის ახლო მდებარე საბაჟო საწყობების შემაქრობელ შტოზე ყოველგვარი ტვირთის გადაზიდვისათვის დაწესებულ იქნეს ა.კ. რკინისგზათა 13 (04) №-რის ადგილობრივი ტარიფის განაკვეთით, რომელი ტარიფიც გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტკა“-ს 508 №-ში. და ტარიფების კრებულის 161 №-ში, ხოლო ამ ტარიფს დაემატოს შემდეგი სიტყვები: (სიტყვა . . . ტფილისის . . . შემდეგ) „და ჯულფა“.

ტარიფი ესე დაწესდეს უვალოდ და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ დღიდან გამოქვეყნებისა.

ამიერქავპასიის რკინისგზათა ადგილობრივი ტარიფი № 51 (04)

ეჩმიაძინის კარიერიდან სადგურ ერევნამდე ერევნის აღმასრულებელი კომიტეტის მისამართით გაგზავნილი ქვიშა-ბალასტის გადაზიდვის საორგანიზაციო გამოსალებისაგან და ქვიშის დასატვირთად და გადმოსატვირთად გაფონების მიყენების ნახევარი გამოსალებისაგან განთავისუფლების შესახებ.

როდესაც ქვიშა-ბალასტი ვაგონობით გადაზიდება (ჯგუფი 38, პოზიცია 27) ეჩმიაძინის კარიერიდან სადგურ ერევნამდე, ერევნის აღმასრულებელი კომიტეტის მისამართით, ქ. ერევნის საბინაო აღმშენებლობის საჭიროებისათვის, საორგანიზაციო ვაგონები, უკეთუ ქვიშის თვით ერევნის აღმასრულებელი კომიტეტი გადატვირთავს თვითი ძალებით და სახსარით, გადახდევინებულ არ იქნება, ხოლო ვაგონების მიყენებისათვის დასატვირთად — ეჩმიაძინის კარიერში და გადმოსატვირთად — ქალაქის ჩიხში ერევნის სადგურთან, გადახდევინებულ იქნება ნახევარი სასყიდლი.

ეს სატარიფო შედეგით დაწესდეს ერთის წლის ვადით და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ დღიდან გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის რკინისგზათა ადგილობრივი ტარიფი № 52. (04).

რძის გადაზიდვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

ახალი რძის გადაზიდვისათვის (ჯგუფი 65, პოზიცია 9) სამგზავრო მატა-  
რებლის სიჩქარით და ადგილობრივი მიმოსვლით მთლად ამიერკავკასიის რკინის-  
გზათა ხაზზე, ხოლო არა უმეტეს 534 კილომეტრის მანძილისა, — ადგილობრივი  
ტარიფი დაწესებულ იქნეს მომქმედი სატარიფო სისტემის მე-14 კლასით.

ტარიფი ესე დაწესდეს ერთის წლის ვადით და შემოღებულ იქნეს სამო-  
ქმედოდ მის გამოქვეყნების დღიდან 7 დღის გასვლის შემდეგ.

1926 წლის დეკემბრის 21. ქ. ტფილისი.

ა/კ. რკინისგზათა სამმართველოსთან არსებული  
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის  
თავმჯდომარის მოადგილე სამმართვ. წევრი ასლანოვი.

ა/კ. რკინისგზათა სამმართველოსთან არსებული  
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის  
საქმეთა მმართველი შახბუდალოვი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1362 №-ში 1926 წ. დეკემბრის 23-ს.

## დადგენილებანი, მიღებული ამიერკავკასიის III გო- ვივის ცენტრალური აღმასრულებელი კომიცემის მე-3 სესიის მიერ ქ. განჯაში

**790.** ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის  
მდივნის ამხ. ა. შავერდოვის მოხსენების ვამო ა/კ. ცენტრა-  
ლური აღმასრულებელი კომიტეტის იმ დეკრეტებისა და და-  
დგენილებების დამტკიცების შესახებ, რაც მისი პრეზიდიუმის  
მიერ მიღებულ იქნა მეორე სესიიდან მესამე სესიამდე.

ამიერკავკასიის III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის  
მე-3 სესიამ მოისმინა მოხსენება ა/კ. ცენტრ. აღმასრ კომიტეტის სესიიდან სე-  
სიამდე მიღებულ დადგენილებათა შესახებ, რომელი დადგენილებანიც, ა/კ.  
ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დებულების 21 მუხლის თანახმად, ა/კ. ცენტრა-  
ლურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს, და დაადგინა:

ა) დამტკიცებულ იქნეს ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის სესიიდან სესია-  
მდე მიღებული შემდეგი დადგენილებანი:

1. დადგენილება სახელმწიფო სასპირტო მონოპოლიის ცენტრალური გამ-  
გეობის მიერ საგასაცემო სამონოპოლიო სპირტის ა/ქსფს-ში მოზიდვისა და

გაყიდვის მოწესრიგების შესახებ (გამოქვეყნებულია 1926 წ. კანონთა კრებულის 1-ლ №-ში, მუხ. 575; „ზარია ვოსტოკა“-ს 1086 №-ში 1926 წ. იანვრის 26-ს).

2. დადგენილება ხე-ტყის დამზადებელი ორგანიზაციების მიერ სამორე სასყიდლის შეტანის წესის შესახებ (1926 წ. იანვრის 18. კანონთა კრებ. 1926 წ. № 1, მუხ. 578; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. იანვრის 26-ისა № 1086).

3. დადგენილება სოფლის მოსახლეობის საშრომო საგზაო ბევრის შესახებ (1926 წ. თებერვლის 15. კან. კრებ. 1926 წ. № 2, მუხ. 593; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. თებერვლის 19-ისა № 1107).

4. დადგენილება ამიერკავკასიის რკინიგზზის წყალსადენის ნაგებობიდან არარკინისგზის საწარმოთათვის, დაწესებულებათათვის და მოსახლეობისათვის წყლის მიცემის წესის შესახებ (1926 წ. მარტის 15. კან. კრებ. 1926 წ. № 3, მუხ. 609; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. მარტის 20-ისა № 1129).

5. დადგენილება საკომისიო ხელშეკრულების შესახებ (1926 წ. მარტის 15. კან. კრებ. 1926 წ. № 3, მუხ. 611; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. მარტის 23-ისა № 1131).

6. დადგენილება სახალხო კომისარიატების საერთო დებულების მე-4 მუხ-ლის შენიშვნის ახალი რედაქციის შესახებ (1926 წ. მარტის 15).

7. დებულება ა/ქსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო კონტროლის დაწესებულებათა მიერ შესაფარდებელ დანახლთა და სხვა საზედომქმედო ღონისძიებათა შესახებ (1926 წ. მარტის 15. კან. კრებ. 1926 წ. № 3, მუხ. 612; „ზარია ვოსტ.“ 1926 წ. მარტის 23-ისა № 1131).

8. დადგენილება ქ. ახალქალაქის მცხოვრებთათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ (1926 წ. მარტის 30. კან. კრებ. 1926 წ. № 4, მუხ. 621; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. აპრილის 3-ისა № 1141).

9. დადგენილება გზათა მშენებლობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ (1926 წ. აპრილის 12. კან. კრებ. 1926 წ. № 4, მუხ. 631; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. აპრილის 16-ისა № 1152).

10. დებულება საფინანსო კონტროლის შესახებ (1926 წ. აპრილის 12. კან. კრებ. № 4, მუხ. 632; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. აპრილის 16-ისა № 1152).

11. დადგენილება ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის გაუქმებისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს დაარსების შესახებ (1926 წ. ივლისის 20. კან. კრებ. 1926 წ. № 7, მუხ. 690; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. ივლისის 23-ისა № 1233).

12. დადგენილება ა/კ. რკინის გზის ლიანდაგისაკენ მიქცეულ მთის კალთებზე და ხეობებში აღმოცენებული ტყეების დაცულ ტყეებად გამოცადების შესახებ (1926 წ. ივლისის 20. კან. კრებ. 1926 წ. № 7, მუხ. 693; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. ივლისის 25-ისა № 1235).

13. დადგენილება ა/ქსფსრ-ის კონსტიტუციის 1-ლი მუხლის „გ“, „ზ“, „ლ“ და „ო“ პუნქტების ახალი რედაქციის შესახებ (1926 წ. ივლისის 20).

14. დებულება ა/ქსფსრ-ის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს და მისი ორგანების შესახებ (1926 წ. აგვისტოს 9).

15. დადგენილება ადგილობრივი ფინანსების დებულების დამტკიცების შესახებ (1926 წ. აგვისტოს 9. კან. კრებ. 1926 წ. № 8, მუხ. 697).

16. დადგენილება გლეხთა მოსახლეობის უფლებების შესახებ ადგილობრივ საჭიროებათა დაქმაყოფილების სფეროში (1926 წ. აგვისტოს 9. კან. კრებ. 1926 წ. № 9, მუხ. 702; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. აგვისტოს 12-ისა № 1249).

17. დადგენილება ა/ქსფსრ შავიზლეის ნაფოსადგურებში დატვირთვისა და გადმოტვირთვის სასყიდლის ნორმის შესახებ (1926 წ. სექტემბრის 27. კან. კრებ. 1926 წ. № 11, მუხ. 724; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. ოქტომბრის 6-ისა № 1294).

18. დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ (1926 წ. სექტემბრის 27. კან. კრებ. 1926 წ. № 11, მუხ. 725; „ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. ოქტომბრის 8-ისა № 1296).

19. დადგენილება ქ. ლენინაკანისა და მიწისძრისაგან დაზარალებული სოფლების მოსახლეობისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ („ზარია ვოსტოკა“ 1926 წ. ნოემბრის 29-ისა № 1343).

ბ) დაევალოს ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმს, ა/კ. საგანგებო კომისიის გაუქმებისა და ა/კ. სახელმწიფო ბოლიტიკური სამმართველოს დაარსების გამო, შესტავლოს ა/ქსფსრ-ის კონსტიტუციის 31 მუხლის რედაქცია.

ბ) დამტკიცებულ იქნეს ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის 1926 წ. ივლისის 20-ის თარიღის დადგენილება—ა/ქსფსრ-ის კონსტიტუციის 1-ლი მუხლის „გ“, „ზ“ და „ო“ პუნქტების რედაქციის შეცვლის შესახებ.

ღ) დამტკიცებულ იქნეს ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის 1926 წ. მარტის 15-ის თარიღის დადგენილება—ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მე-2 სესიის მიერ ა/ქსფსრ სახალხო კომისარიატებისათვის დამტკიცებული საერთო დებულების მე-4 მუხლის შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ.

ე) მოქ. ისაია მაქსიმეს-ძე რუდომეტკინი გამორიცხულ იქნას ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის კანდიდატთა შეღვენილობიდან, რაც დამობოს უახლოეს საბჭოთა ყრილობას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცენტრალური აღმასრულებელი

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდგვანი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 14. ქ. განჯა.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1364 №-ში 1926 წ. დეკემბრის 25-ს.



**791.** ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ლუკაშინის მოხსენების გამო ა/ქსფსრ-ის მრეწველობის შესახებ, აღნიშვნა შემდეგი:

1. ამიერკავკასიის მე-III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის, მოსმინარა ამხ. ლუკაშინის მოხსენება ა/ქსფსრ მრეწველობის შესახებ, აღნიშვნა შემდეგი:

1. ამიერკავკასიის მრეწველობის აღდგენის პერიოდი, საერთოდ, შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს.

ზოგიერთი დარგი ჩამორჩება ომის წინადროინდელ დონეს, მაგრამ ამ გარემოების ამანაზღაურებელია გაფართოება მრეწველობის სხვა დარგებისა, რომელიც ომის წინადროინდელ დონეს უკვე გასცილდნენ.

2. ამიერკავკასიის მრეწველობა, რომელიც, ნავთის მრეწველობის გამოკლებით, უმთავრესად ადგილობრივია და დაბალი წყობის კაპიტალისა, იწყებს, ისე როგორც მთლიად კავშირის მრეწველობა, თავის, ახალ ტეხნიკურ ბაზაზე გარდაქმნის ხანას.

ეს პროცესი ჯერ კიდევ გასულ სამეურნეო წელს დაიწყო. ხოლო მიმდინარე 1926-27 წ. თვითმსახიობ განვითარებს ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციის საქმეს.

3. ამიერკავკასიის მრეწველობის სააღმდგენელო პროცესის სწრაფი ტემპი შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ პოლიტიკის წყალობით, რომელიც მიზნად ისახავდა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისა და, კერძოდ, მრეწველობის საფუძველთა ორგანიზულ გაერთიანებას. ამიერიდანაც, რეკონსტრუქციის ხანაში, ჩვენი ამიერკავკასიის მრეწველობა შეიძლება განვითარდეს და კიდეც განვითარდება! არა მარტო როგორც ადგილობრივი მრეწველობა და არა მხოლოდ როგორც კაპიტალის უფრო დაბალი წყობის ტიპის მრეწველობა, არამედ როგორც განუკრელი და ორგანიზული ნაშილი მთლიად საერთო-საკავშირო მრეწველობისა და სახალხო მეურნეობისა.

4. ამ ნიადაგზე უკვე მიმდინარე წელს კიდევ უფრო მეტად იზრდება ის აუცილებელი სპიროლები, რომ საგეგმო ორგანოების მუშაობა გაძლიერებულ და მოწესრიგებულ უნდა იქნეს, რომ ცალკე საგეგმო ინსტანციების ფუნქციები და მოვალეობანი უფრო მკაფიოდ უნდა განისაზღვროს.

5. სსრ კავშირის ცენტრალური ორგანოების დირექტივები, შეცვლილ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მიზნით, მთლიად წარმოების ორგანიზაციის რთული სისტემისა, საქონლის გამტარებელი ქსელისა, საკრედიტო ორგანოებისა და სხვ. გადასინჯვის შესახებ,— მიმდინარე სამეურნეო წელშივე უნდა იქნეს კონკრეტულად შემუშავებული, ადგილობრივი პირობების მიხედვით, და ეხლავე დაწყებულ უნდა იქნეს მათი განხორციელება.

6. ცველა, სათანადო სიფრონილით მიღებული, ცნობა იმას აღსტურებს, რომ, მართალია, კაპიტალის დაგროვება ჯერჯერობით საქმარისად დიდი არ

არის, მაგრამ იგი უკვე ეხლაც უზრუნველყოფს ამიერქავეკასიის ინდუსტრიალური განვითარების მინიმალურ, აუცილებელ ტემპს 1926-27 წლისათვის:

ა) გასულ წელს ამიერქავეკასიის მრეწველობამ პირველად შევდგა თვალსაჩინო შიდა-სამრეწველო დაგროვებას. იგი ჯერჯერობით სრულიადაც საქმარისი არ არის და თავისი ხედრითი წონით მრეწველობისათვის გაწეულ საერთო ხარჯში არა თუ ეხლა, ორამედ მომავალშიაც, რამდენიმე წლის განმავლობაში, იმაზე იქნება ნაკლები, რაც კავშირში საშუალოა. ჩვენი მრეწველობის უმთავრესი მიზანია—გაადიდოს ეს დაგროვება, ხოლო ამისათვის საჭიროა არა ფსეუბის აწევა, არამედ ზედნადები ხარჯის აუცილებელი შემცირება, კაპიტალების ტრიალის დაჩქარება, ორგანიზაციული და ტეხნიკური რაციონალიზაციის განხორციელება და შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისკრიპტინის გაძლიერება;

ბ) მიმღინარე წელს ამიერქავეკასიის სახელმწიფო ბიუჯეტი დახმარებას გაუწევს ჩვენს მრეწველობას დაახლოებით ორჯერ მეტად, ვიდრე გასულ წელს, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების მინიმალურ ტემპს. მაგრამ სამერმისოდაც, მოული წლების განმავლობაში, ამიერქავეკასიის მრეწველობის კაპიტალური ხარჯებისათვის სახელმწ. ბიუჯეტით გადადებული სახსარის ხევდრითი წონა თვალსაჩინოდ უნდა იღემატებოდეს შიდა-სამრეწველო დაგროვებას.

7. ეკონომიის ქაცრი რეჟიმის განხორციელება, დაუმახინჯებლად და მუშათა მასის ფართო აქტიური აუცილებელი მონაწილეობით, უნდა იქცეს დამატებითი დაგროვების ნამდვილ მეთოდად ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის, რაც იმავე დროს მოსპობს ზედმეტ უნაყოფო ხარჯებს.

8. დღევანდელს პირობებში, როცა სასაქონლო სიმშილი ჯერ კიდევ თავიდან აცილებული არ არის, მიმღინარე სამეურნეო წელსაც ძირითად მიზნად რჩება პროდუქციის მაქსიმალური გადიდება. ამ მიზნით, ნედლეულობის ბაზრის უფრო ორგანიზაციულად ხელში ჩაგდება კვლავ ჩვენს საზრუნოა საქმეს წარმოადგენს, რაც მიმღინარე წელს მოგარებულ უნდა იქნეს (აბრეშუმი, მატყლი და სხვ.).

პროდუქციის გადიდება უწინარეს ყოვლისა უნდა ვეძიოთ თვით მრეწველობის რაციონალიზაციაში (ტეხნიკის გაუმჯობესება, მუშა-ძალის უკეთ მოწყობა, შრომის ნაყოფიერების გადიდება, ზედნადები ხარჯების შემცირება, კაპიტალების ბრუნვის დაჩქარება, სიმმობილო, რესურსების გამოყენება და სხვ.), ხოლო რაციონალიზაცია მოგეცემს: ფასების შემცირების და საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას.

9. სსრ კავშირის ცენტრალური ორგანოების დირექტივების თანახმად, უახლოესი დროისათვის სპეციალურ მიზნად უნდა იქცეს წარმოების ორგანიზაციის სისტემისა, ჩვენი მრეწველობის სამართველოებისა და აგრეთვე სამრეწველო ნედლეულის დამზადების სისტემის გადასინჯვა.

10. როგორც გამოყიდვება გვიჩვენებს, ჩვენი ყველაზე უფრო სუსტი მხარე ის არის, რომ კაპიტალურ სამუშაოთა პროექტები ეკონომიკურისა და ტეხნიკურის მხრით ვერ არის ხოლმე საქმარისად შემუშავებული და რომ სააღმშენებლო მუშაობას ჩვენ გვემიან კონტროლს ვერ ვუწევთ. მიმღინარე წლისათვის აუცილებლად უნდა შევიმუშაოთ განსაზღვრული წესი კონტროლისა.

11. თუ გასულ წელსაც ჩვენთვის საგრძნობი იყო კვალიფიციური, ტეხნიკურად მომზადებული ძალების ნაკლებობა, მიმდინარე წელს, როცა ჩვენი მუშაობა ახალ, ტეხნიკურად მაღალ საწარმოთა მოწყობისათვის ბევრად გაძლიერებულია, — ამ ნაკლებობამ შეიძლება კიდეც შეაჩეროს ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციის ტემპი.

კვალიფიციური მუშა-ხელის სიმცირე თავს იჩენდა ხოლმე გასულ სამეურნეო წელს და კიდევ უფრო მეტად იჩენს თავს მრეწველობის ახალი დარგების შექმნის ხანაში.

საჭირო კონკრეტულად განვიხილოთ და შევიმუშაოთ სათანადო ღონისძიებანი კვალიფიციური მუშა-ხელის საკითხის მოსაგვარებლად, რასაც შეუძლიან მთავარ დაბრკოლებად იქცეს მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

12. სამრეწველო მოწყობილობის იმპორტი ამიერკავკასიის საიმპორტო კონტინგენტში პირველად სწორედ 1926-27 წელს შეადგენს თვალსაჩინო პროცესს. საჭიროა შემდეგ შიაც მიღებულ იქნეს სათანადო ღონისძიებანი, რათა სამრეწველო მოწყობილობის წილი ჩვენს იმპორტში კიდევ მეტად გადიდეს.

13. გასულ წელს მუშათა კლასის რიცხვმა კვლავ თვალსაჩინოდ იმატა.

გაიზარდა რეალური სამუშაო ხელფასიც.

განსხვავების თავიდან ასაცილებლად სამუშაო ხელფასი გადიდებულ უნდა იქნეს წარმოების ჩამორჩენილ დარგებშიაც; ამასთანავე საჭიროა სხვადასხვა კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა.

მხოლოდ მუშათა აქტიურ მონაწილეობას შრომის დისკიპლინისა და წარმოების რაციონალიზაციის გაძლიერებისათვის წარმოებულ ბრძოლაში შეუძლიან უზრუნველჰყოს ჩვენი წარმატებით წინსელი.

14. მუშათა საბინაო მდგომარეობა ჩვენში უკეთესი არ არის, ვიდრე საერთოდ კაქშირში. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბინების ნაკლებობა სამთო მრეწველობის მუშებისათვის და ახლად მოწყობილ საწარმოთა მუშებისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში საბინაო აღმშენებლობა წაომოებითი აღმშენებლობის პირდაპირი და აუცილებელი ნაწილია.

15. ჩვენს თავისებურ ნაკლს შეადგენს:

ა) მრეწველობის მართველი აპარატების არა-მაფიო ორგანიზაციულობა;

ბ) აღნუსხების არასრული, არასაკმარისი წარმოება, ზოგჯერ-კი სრულიად უქონლობა (აღნუსხეველი ორგანიზაცია ცოტა არ არის, სწორი აღნუსხება-კი მაინც არა გვაქვს) არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ რესპუბლიკანურ ორგანოებშიაც;

გ) შედარებით ნაკლები უზრუნველყოფა საკუთარი საბრუნავი სახსარით, ვიდრე ეს საშუალოდ კავშირში არის;

დ) კრედიტის ნაკლებობა და სუსტი ხელმძღვანელობა კრედიტის განაწილების საქმეში, რის გამოც ცალკე სახეთა კაპიტალების განსაზღვრას მეტ წილ საწარმოში წინ ელობება ბევრი სიძნელე;

ე) არასაკმარისად მოწესრიგება ნედლეულობის ბაზრისა, რის გამოც ბაზრის ზოგიერთ დარგში კერძო პირი ახერხებს დამზადების საქმის ჩაშლას (აბრეშუმის პარკი და სხვ.).

16. ყველა ანიშნულ ნაკლ უნდა მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება, რაღაც, თუ იგი დაძლეულ არ იქნა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ჩვენი ინფუსტრიალიზაციის ტემპის განელება.

17. იმ განსაკუთრებულ და გადამწყვეტ როლს, რაც ელექტროფიკაციას აქვს მრეწველობის რეკონსტრუქციისა და მისი განვითარებისათვის, არა შორეულ მომავალში, არამდ დღესვე, — საბჭოთა ხელისუფლება მუდამ სათანადო ანგარიშს უწევდა.

ის ძლიერი ცენტრალი სადგურები, რომელთა აგებაც განხრახულია ამ წელს, გარდა იმ აღვილობრივი სადგურებისა, რაც უკვე დამატვრებულ არიან ან ეხლა შენდებიან, ხუთი წლის გრძმავლობაში მაღალი ტეხნიკის საფუძველს ჩაუყრიან არსებულ მრეწველობას და შექმნიან მაგნიტის ძლიერ პოლიუსებს მრეწველობის ახალი დარგების მოსაწყობად.

18. დღეს, ჩვენი უფერაციის ეკონომიკის გარდაქმნის ხანაში, პარტიული ორგანიზაციებისა, საბჭოთა ორგანოებისა და მუშათა კლასის მთელი ძალების თავმყრა და დარაზმა სამუშაოები და, განსაკუთრებით, ინფუსტრიალური პოლიტიკის საჟითხების გარშემო, — არის სოციალიზმის მშექნებლობის კატეგორიული მოთხოვნა და ძირითადი წინასწარი პირობა სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდიგარი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 14. ქ განჯა.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 1364 №-ში 1926 წ. დეკემბრის 25-ს.

**792.** ა/კსფსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისრის ამს. მ. დ. ჰუსეინოვის მოხსენების გამო — ა/კსფსრ-ის 1926-27 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო და აღვილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

ამიერკავკასიის მე-III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის, მოისმინა რა ა/კსფსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისრის ამს. ჰუსეინოვის მოხსენება — ა/კსფსრ-ის 1926-27 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო და აღვილობრივი ბიუჯეტის შესახებ, სრულიად მოიწონა ამიერკავკასიის მთავრობის საფინანსო პოლიტიკა და მიიღო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1926 წლის ოქტომბრის 5-ს დამტკიცებული ბიუჯეტი.

ამასთან ერთად:

1. სესიია აღნიშნავს, რომ ა/კსფსრ-ის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც გასულ წლებში უმთავრესად სამომხმარებლო ხასიათი ჰქონდა, 1926-27 წლისათვის

ისეა აგებული, რომ თვალსაჩინოდ გადიდებულია წარმოებითი ხარჯები, რომელთა ხევდრითი წონაც  $13.4\%$ -დან (გასულ წელს) გაიზარდა  $28.3\%$ -მდე (მიმდინარე წელს).

სესიას აღიარებს, რომ ბიუჯეტის ასეთი აგება უსათუოდ შექსაბამება სათანადო დირექტივებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ და საჭიროდ მიაჩნია სთხოოს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტს, რათა მომავალშიაც ასეთივე ხასიათი შერჩეს ა/ქსფსრ-ის ბიუჯეტს, რაც ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილობის პირობებში ძირითადი ფაქტორია სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის და ბაზა თვით სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანდათხმობითი გაძლიერებისათვის.

2. სესიას სრულიად სამართლიანად მიაჩნია, რომ წარმოებითი ხარჯებს შორის ყველაზე მეტად გადიდებულია სამრეწველო ხარჯები, რადგანაც ეს უკავშირდება ინდუსტრიალიზაციის გეგმიანი განხორციელების აუცილებლობას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ამიერკავკასიაში, სადაც არის მრავალი ბუნებრივი სიმდიდრე, საჭირო ნედლი რესურსები და იაფი ენერგია.

3. სესიას აღნიშნავს, რომ მრეწველობის განვითარებასთან ერთად, ბიუჯეტი ითვალისწინებს ამიერკავკასიის ელექტროფიკაციის სათანადო განვითარებასაც, რისთვისაც უზრუნველყოფს საჭირო სახსარის გადადებას როგორც ახალი სადგურების ასაგებად ფედერაციის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში, ისე ელექტრო-ალმშენებლობის დარგში უკვე დაწყებულ სამუშაოთა დასამთავრებლად.

4. ითვალისწინებს რა, რომ ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, სხვა მოქავშირე რესპუბლიკებთან შედარებით, უმთავრესი როლი ეკუთვნის ტეხნიკურ კულტურებს, რომელიც სამრეწველო და საექსპორტო მნიშვნელობის ნედლეულობას იძლევა, რომ სოფლის მეურნეობის სააღმდეგენერო პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და სისოფ.-სამეურნეო საკრედიტო სისტემის სახსარი მეტად მცირეა, რის გამოც ამიერკავკასია მოითხოვს სახელმწიფოსაგან ახალი თანხების გაღებას, — სესიას შესაბამისად მიაჩნია ამიერკავკასიის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ მან გააძლიერა თანხები არა მარტო მრეწველობისა და ელექტროფიკაციისათვის, არამედ სოფლის მეურნეობისათვისაც.

5. სესია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ წლიდან წლამდე თვალსაჩინოდ იზრდება თანხები წყალთა მეურნეობის დარგში საჭირო სამუშაოთა განსახორციელებლად.

რადგანაც წყლის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთლად ჩვენი ფედერაციის მეურნეობაში, სესია აუცილებლად სთვლის, რათა უზრუნველყოფილ იქნება წყალთა მეურნეობის სამუშაოების შაქსომალური დაკავშირება მთლად ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობასთან და იგრეთვე ა/კ. მთავრობის მიერ ამ სამუშაოებისათვის კონტროლის გაწევა; ამ მიზნით სესია ადასტურებს პრეზიდიუმის დადგენილებას ა/ქსფსრ-ის სახელმწიფო ბიუჯეტში იმ ხარჯების დატოვების შესახებ, რითაც ფინანსიურად ხელი უნდა შეეწყოს როგორც ა/ქსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამართველოებს, ისე თვით ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს

აპარატს; ამისდამიხედვით სესსია აღგენს—ალიძრას სათანადო შუამდგომლობა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

6. ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ ა/ქსფსრ-ის სახალხო მეურნეობის განვითარების პროცესს წინ ელობება მეტად მძიმე მდგომარეობა გზათა არსებული ქსელისა, რომელიც ამიერკავკასიის მთიანი რელიეფის პირობებში განსაკუთრებულ როლს თამაშობს,— სესსია აღიარებს, რომ ა/ქსფსრ-ის სახელმწიფო ბიუჯეტით რესპუბლიკანური გზებისათვის გადადებული თანხა 1.700.000 მან. რაოდენობით, გარდა იმ სახსრისა, რაც სტრატეგიული მნიშვნელობის გზებისათვის გათვალისწინებულია სსრ კავშირის ბიუჯეტში გზათა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით, მინიმალურად აუცილებელია მიმდინარე საბიუჯეტო წელს; ამასთან ერთად, სესსია საჭიროდ სთვლის, რომ აღნიშნული ფონდი უსათუოდ დარჩეს ა/ქსფსრ-ის სახელმწიფო ბიუჯეტში.

7. სესსია აღასტურებს ა/ქსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივს იმის შესახებ, რომ დანიშნულებათა ზრდა სახალხო კომისარიატების აღმინისტრატიული ხარჯებისა და სამუშაო ხელფასის ფონდისათვის შეჩერებულ იქნება.

სესსია აღნიშნავს, რომ სახალხო კომისარიატების ჯგუფის დანიშნულებათა საერთო ზრდა ბიუჯეტში გამოწვეულია მრავალი სხვადასხვა ხარჯის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიკუთვნებით, ადგილობრივი ფინანსების ახალი დებულების თანაბად, და აგრეთვე ზოგიერთი სახალხო კომისარიატის, განსაკუთრებით ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის (სამაღარიო ფონდი), საოპერაციო ხარჯების გადიდებით.

8. ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ მიწის წიაღის შემოსავალთა ანარიცხების ხარჯზე ა/ქსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებში დოტაციის სხით შეტნილ განსაკუთრებულ ფონდებს უღრესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იმ ფონდებმა უნდა დააკმაყოფილოს რესპუბლიკათა ის კულტურულ-სოციალური საჭიროებანი, რომელთაც,— იმის გამო რომ ისინა ამიერკავკასიის ცხოვრების პირობებიდან გამომდინარებებ და განსაკუთრებული ხასიათისანი არიან,— სახალხო კომისარიატების ხარჯთა ჯგუფი ვერ უზრუნველყოფს, სესსია აღნიშნავს, რომ ა/ქსფსრ-ის 1926-27 წ. ბიუჯეტით დოტაციების გათვალისწინება ა/ქსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის სრულიად სწორია და საჭიროდ სთვლის ეთხოოს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ხენებული დოტაციის თანხების დამტკიცება.

9. სესსია განსაკუთრებით აღნიშნავს ა/ქსფსრ-ის ბიუჯეტში სათანადო თანხის შეტანას საქონლის ჭირთან და კალიასთან ბრძოლის საქმისათვის, რადგანაც გასული წლების განმავლობაში საჭირო სახსარის ნაკლებობის გამო საქონლის ჭირის ეპიდემიამ და კალიამ განუზომელი ზიანი მიაყენა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობას.

სესსია ავალებს ამიერკავკასიის მთავრობას მომავალშიაც განსაკუთრებული ყურადღება მიაკციოს სახალხო მეურნეობის ამ მტრებთან ბრძოლის საქმეს.

10. ಶೈಲಿಸಿದ ಅಲ್ಭಿನೊಗ್ಸು, ಹಂತ ಅಡಗಿಲಂಬರ್ಹಿಗ್ಯಿ ದಿಷ್ಟಜ್ಞೇತ್ರಿ; ಅಮೋರ್ಕಾವ್ಯಾಸಿನಿಂದ ಸಾ-  
ಫಿನೊನೆಸಿ ಮೆಂಪ್ರೆನ್ರೆಂಪಿಸ ಗಾಂಧಿತಾರ್ಹಿಂ ತಿರ್ಣಂಬರ್ಥಿ, ಮೇತಿಸಿಮೆತ್ರಾದ ಸ್ವಾಸ್ಥ್ರಾ ದಾ ಮಂ-  
ಪ್ಲೇಬ್ಲುಲಿ ಸಾಮ್ಯಪ್ರಾಂಶ್ಯ ದಾಶಾಸ, ರಾಜ್ ಅಂಪಿಲ್ಯಾಂಪ್ಲಿಯಾ ಸಾಧಿಷ್ಟಜ್ಞೇತ್ರಿ ಕಾಂಬಿಂದ್ರಾಂಪ್ಲಂಪಿತ  
ದಾಂಪಿಂಪ್ಲೆಂಪ್ಲುಲ ಲಂಪಿಸಿದ್ದಾತಾ ಗಾಂಧಿತಾರ್ಹಿಪ್ರಿಯಾಂಪ್ಲಾದ, ದಾ ಹಂತ ಇ ದ್ವಾಜ್ಞೇತ್ರಿ ಮಂ-  
ತಂಪ್ಲೆಸ ಸಾಂಪ್ರೇಂಪ್ಲಿಂಪ್ಲಾಸಾಗ್ವಾ ಗ್ರಾಂಪ್ರಾಂಪ್ಲಿಂಪ್ಲಾಲ ಡಾಂಪಾರ್ಹಿಂದಾ.

ಅಂತಿ ಗಾಮ ಶೈಲಿಸಿದ ಗಾಂಧಿಂಪ್ಲೆತಾಗ್ಸು, ಹಂತ ಮಿಮಿಂಬಿನಾರ್ ಪ್ರೀಲ್ಸ, ಪ್ರಾರ್-  
ಸ್ಯಂಪ್ಲಿ ಪ್ಲೆಂಪಿಸ ಮಿಂಪಾಸಾದ, ಸಾಸ್ಯಂಪ್ಲೆನ್ಪ್ರಿಯಾ ಪ್ರಂಪ್ಲಿಸ ಶ್ರೇಂಪ್ಲಿಂಪ್ಲಂಪಿಶಿ ಗಾಂತಾಲಿಸಿಪ್ರಿಂಪ್ಲೆ-  
ಂಪ್ಲಿಗಾ ಸಾಮ್ಯಂಪ್ಲಾ ಖ್ಯಾಲಿಂಪಾಸಿಸ ತಾಂಶಾ 1-ಲ್ಲಿ ದಾ ಮ್ಯ-2 ಸಾಂಪ್ಲೆಪ್ರಾಂಪಿಸ ಸ್ಯಂಪ್ಲಿಂಪಿಸ ಮಾಸ್ಟಿಂ-  
ಪ್ಲೆಂಪ್ಲಾಲಂಪಾಸಿ, ಹಂತಂಪ್ಲಿತಾ ಶ್ರೇಂಪಾಸ ಅಂಪಿಲ್ಯಾಂಪಿ ದಿಷ್ಟಜ್ಞೇತ್ರಿಸ, ಮಿಸಿ ಸಿಸ್ಯಾಸ್ತಿಂಪಿಸ ಗಾಮ,  
ವ್ಯಾರ್ ದಾಂಪಿಸಿರ್ಹಿಂದಾ.

11. ಶೈಲಿಸಿದ ಅಲ್ಭಾರ್ಹಿಂದಾ, ಹಂತ ತ್ಯಂಪ್ಲಾ 1926-27 ಏ. ದಿಷ್ಟಜ್ಞೇತ್ರಿ ಅಂಪಿಂಪ್ಲಾಲಿ ಪ್ರಾರ್-  
ಸ್ಯಂಪ್ಲಿ ಪ್ಲೆಂಪಿಸ ಗಾಂಪಿಲ್ಯಾಂಪ್ಲಾಂಪಿಸ ಎಂಪಾರೀಶಿಂಪಿ ಮಿಂಪಿಂಪಿ ದಾ ತ್ಯಂಪ್ಲಾ ಮಾಸ್ತಿಂಪಿ ಅಂಪಿಂಪ್ಲಾ  
ಸಿಸ ಕ್ರಾಂಪಿರ್ಹಿಂದಾ ಸಾಂಪ್ಲಿನಾಸಿ ತಾಂಪಿಲಿತಿಯಿಸ ಮಿರಿತಾಂಪಿ ಮಂಪ್ಲೆನ್ಪಿರ್ಹಿಂದಾ, ಮಾಂಪ್ಲಿ ಒಗಿ ತ್ವಾಲ-  
ಸಾಹಿಂದ ದಾಂಪಿಪ್ಲಿತಾ ಅರ್ಹಿಸ ಶ್ರೇಂಪಿಂಪಿ.

ಎ.ಕ್ ಪ್ರೆಂಪ್ಲಿ. ಅಲ್ಭಾಸಿ. ಕಂಪಿಲ್ಯಾಂಪಿಸ ಶೈಲಿಸಿದ ಅಲ್ಭಾಗ್ನಾಗ್ಸು, ಹಂತ ಅಮೋರ್ಕಾವ್ಯಾಸಿನಿಂದ  
ದಿಷ್ಟಜ್ಞೇತ್ರಿಸ ದಾಂಪಿಲ್ಯಾಂಪಿಂಪಿ ಮಿಂಪಿಂಪಿ ಅಂಪಿಂಪಿ, ಗ್ರಾಂಪಿಂಪಿ ಮಿಂಪಿಂಪಿ, ನಾಂಪಿಂಪಿಂಪಿ ಮಿ-  
ಪ್ಲೆತಿಂಪಿ ಸಾಂಪ್ಲಿಂಪಾಗಲ್ಲಂ ದಾಶಾಸ, ರಾಜ್ ದಾಂಪಿಂಪಿಂಪಿ ಎಂಪಿ ಎ.ಕ್ಸಿಸ್ತಿಂಪಿ-ಾಸ, ಹಂಪಾರ್ಪ ಮಂ-  
ಪ್ಲೆತಿಂಪಿ ಹ್ಯೆಪ್ಲಿಂಪಿಯಾಸ, ದಾ, ಮಿಂಪಿ ಮಿಂಪಿಂಪಿ, ಹ್ಯೆಪ್ಲಿ ದಾಂಪಿರ್ಪಿಲ್ಲಾ ದಾ ಅಂಪಿಂಪಿನಿಸ  
ಶಂಪಿಲ್ಯಾಂಪಿ ಮಿಂಪಿ ಸಿಂಪಿ ಸಾಂಪ್ಲಿ ಮೆಂಪ್ಲೆನ್ಪಿ ಮಿರಿತಾಂಪಿಲ್ಲಾಲಾ ಸಿಂಪಿಂಪಿಲ್ಲಾ, ಹಿಸ ಗಾಂಪಿ  
ಪ್ರಿಂಪಿಸಿ ಸಾಂಪ್ಲಿಂಪಿ ಸಾಂಪ್ಲಿಂಪಿ ಸಾಂಪ್ಲಿಂಪಿ ಸಾಂಪ್ಲಿಂಪಿ ಶ್ರೇಂಪಿಲ್ಲಾಲ ಶರ್ದಾಸಾ ದಾ ಮಿಸ ಮಿರಿತಾಂಪಿ-  
ಲ್ಲಾಲಾ ಶರ್ದಾಸ ಶಾರ್ದಿನಿಸ ದಾಂಪಿಲ್ಲಾಲಿ.

ತ್ಯಂಪ್ಲಾ ಎ.ಕ್ಸಿಸ್ತಿಂಪಿ-ಾಸ ದಿಷ್ಟಜ್ಞೇತ್ರಿ ಶ್ರೇಂಪಿಲ್ಲಾಲ ಸಲ್ಲ ಕ್ರಾಂಪಿರ್ಹಿಂದಾ ದಾ ಮಿಸ ಶ್ರೇಂಪಿಂಪಿ-  
ಲ್ಲಾಶಿ ಶ್ರೇಂಪಿಗಾಂಪಿ ಮಿರ್ಪಾಗ್ನಿರ್ಹಿ ಹ್ಯೆಪ್ಲಿಂಪಿಯಾಂಪಿಸ ಸಾಧಿಷ್ಟಜ್ಞೇತ್ರಿ ಶ್ರುಪ್ಲೆಂಪಿ ದಾಂಪಿಲ್ಲಾಲ್ ದಾ-  
ಲ್ಲಾಲ್ ಶಿಪ್ಲಿ ಸಾಂಪ್ಲೆಪ್ಲೆಲ್ಲಿಂಪಿ, ಹಂಪೆಲ್ಲಿ ದಾಂಪಿಲ್ಲಾಲ್ ಪಿಲ್ಲಿ ಮಿಲ್ಲಿ ಸಲ್ಲ ಕ್ರಾಂಪಿರ್ಹಿಂದಾ ಪ್ರೆಂಪ್ಲಿ.  
ಅಲ್ಭಾಸಿ. ಕಂಪಿಲ್ಯಾಂಪಿಸ ಮ್ಯಾರ್ಪ 1926 ಏ. ಇಂಪಿಸಲ್ಲ 30-ಿ, ದಾ ತ್ಯಂಪ್ಲಾ ಮಿಸ ಗಾಮ ದಿಷ್ಟಜ್ಞೇ-  
ತ್ರಿಸ ಸಾಂಪ್ಲಿಂಪಾಗಲ್ಲಂ ನಾಂಪಿಲಿ ತ್ವಾಲಿಸಾಹಿಂದ ಗಾಂಪಿಲ್ಲಿರ್ಪಿಲ್ಲಾ, ಮಂಪಾರ್ಪ ಎ.ಕ್ಸಿಸ್ತಿಂಪಿ ದಿಷ್ಟಜ್ಞೇ-  
ತ್ರಿಸ ಪ್ರಾರ್ಪಂಪಿ ಅ ಅರ್ಹಿಸ ಸಾಂಪ್ಲಿರ್ಹಿಂದಾ ಮಿಸ ನಂಪಿಲ್ಲಾಲ ಗಾಂಪಿತಾರ್ಹಿಂಪಿಸಾತ್ಪಿಸ ಸಾ-  
ಪ್ಲಿರ್ಹಿ ಸಾರ್ಚ್ಯಾಪಿಸ ದಾಸಾಂಪಾರ್ಪಂಪಿ ದಾ ಮಿಸ ಉಂಪಿಲ್ಲಿರ್ಪಿಲ್ಲಾಲ ದಾಸಾಂಪಿಲ್ಲಾಸೆಂಪಿಲ್ಲಾಲ, ಮಿಂಪಿ ದಾ-  
ಂಪಿ ಶ್ರೇಂಪಿಲ್ಲಾಲಾ ಶ್ರೇಂಪಿಲ್ಲಾಲ ಗ್ರಾಂಪಿಶ್ರೇಂಪಿಲ್ಲಾಲ ಶರ್ದಾಸಿ.

ಅಂತಿ ಗಾಮ ಶೈಲಿಸಿದ ಅಂಪಿಲ್ಲಾಲ ಮಿರಿಹಿಂದ ಎ.ಕ್ಸಿಸ್ತಿಂಪಿ-ಾಸ ದಿಷ್ಟಜ್ಞೇತ್ರಿಸ ಸಾಂಪ್ಲಿ-  
ಸಾಂಪ್ಲಿ ದಾಶಾಸ ಶೇಸಾಂಪ್ಲೆಂಪಿ ಗಾಂಪಿಲ್ಲಾಲ ಅಂಪಿ ಸಾಂಪ್ಲಿ ಸಾಂಪ್ಲಿ ಶ್ರುಪ್ಲಿರ್ಹಿಂದಾ ದಾತ-  
ಪಿಲಿ.

1926-27 ಸಾಧ. ಪ್ಲಿಸ ಸಾಂಪ್ಲಿಂಪಿ ಶಾನೊಂಪಿಲ್ಲಾಲ ದಾನೊಂಪಿಲ್ಲಾಲ ದಾನೊಂಪಿಲ್ಲಾ ಸಾಂಪ್ಲಿ-  
ಮಿಲ್ಲಿ ದಾಶಾಸ ಗಾಂಪಿಲ್ಲಿರ್ಹಿ ಅಂಪಿ ಅಂಪಿ ಕಾಂಪಿಲ್ಲಾ ಅಂಪಿ ಸಾಂಪ್ಲಿ ಶ್ರುಪ್ಲಿರ್ಹಿಂದಾ ಶರ್ದಾಲ ದಾ-  
ಲ್ಲಾಲ ಶ್ರುಪ್ಲಿ ದಾಂಪಿಲ್ಲಿರ್ಹಿ ಶ್ರುಪ್ಲಿ ಸಾಂಪ್ಲಿ.

ರಾಂಪಾನಾಲ ಸಾಂಪ್ಲಿ ಮೆಂಪ್ಲೆನ್ಪಿ ಶಾರ್ದಾಲ ಮಿಲ್ಲಿ ದಾನೊಂಪಿಲ್ಲಾಲ ದಾನೊಂಪಿಲ್ಲಾಲ ದಾ-  
ನೊಂಪಿಲ್ಲಾಲ ದಾನೊಂಪಿಲ್ಲಾಲ ದಾನೊಂಪಿಲ್ಲಾಲ ದಾನೊಂಪಿಲ್ಲಾಲ ದಾನೊಂಪಿಲ್ಲಾಲ ದಾನೊಂಪಿಲ್ಲಾಲ ದಾ-

12. ა/ქსფსრ-ის ბიუჯეტში შეძლებისადაგვარად გამოყენებულია საშემო-სავლო წყაროები, რის გამოც იგი უფრო მცირე საშემოსავლო ბაზაზეა ავტომატიზირებული წლების ბიუჯეტები; ამასთანავე საკიროა აღინიშნოს სახელმწიფო შემოსავალთა გეგმაშეწონილი და საერთო ზრდა.

ა/ქსფსრ-ის ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხის ზრდასთან ერთად თან-დათან ხორციელდება სსრ კავშირის ცენტრ. აღმას. კომიტეტის მე-3 სესიის დირექტორი, და ამიერკავკასიის ბიუჯეტი სულ მეტად და მეტად ეყრდნობა არასაგადასახადო შემოსავალს, რომლის ხედირითი წონაც, გასული წლის ბიუ-ჯეტთან შედარებით, გაიზარდა  $48,3\%$ -დან  $57,3\%$ -მდე, ხოლო თანაბრად შემ-ცირდა საგადასახადო შემოსავალი —  $51,7\%$ -დან  $42,2\%$ -მდე.

13. იღებს რა მხედველობაში, რომ არასაგადასახადო შემოსავალთა ჯგუფში უდიდესი ადგილი მიწის წიაღის შემოსავალს უჭირავს, სესიის სწორედ და მინიმა-ლურად მიაჩნია ბიუჯეტში მიღებული საიჯარო განაკვეთის ანგარიში და აღგენს ეთხოოს საკავშირო ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს ამ ანგარიშის დამტკიცება.

14. ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ ა/ქსფსრ-ის საბიუჯეტო შე-საძლებლობათა ფარგლებში ვერ დაქმაყოფილდება ამიერკავკასიის სახალხო მე-ურნების ზოგიერთი აუცილებელი საჭიროება, სესიის საჭიროდ მიაჩნია აღიძ-რას შუამდგრძლობა სსრ კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის წინაშე, რათა დამატებით გასცეს საერთო-საკავშირო ბიუჯეტის სახსრიდან სათანადო თანხა ხსენებულ საჭიროებათა დასაქმაყოფილებლად.

15. სესიის საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებულად აღნიშნოს, რომ ამ უამაღ, როდესაც ა/ქსფსრ-ის მთავარ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში დიდი სა-ბინაო კრიზისია და საცხოვრებელი სივრცის ნორმა მეტად უმნიშვნელოა, ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის წინა სესიის გადაწყვეტილების მიხედვით მოთხო-ვილი 7.500.000 მან. არის ის მინიმალური თანხა, რაც მიმდინარე წელს, ამიერ-კავკასიის საბინაო აღმშენებლობის დაგეგმვის პროცესში უახლოესი წლებისა-თვის, სრულიად აუცილებელია.

16. ასეთივე მძიმე მდგომარეობა ამიერკავკასიის ქალაქების კომუნალური მეურნეობისა მოითხოვს მათვის ფინანსიურად ხელისშეწყობის გაძლიერებას, რის გამოც სესია იწონებს ამ შინაგანთვის სათანადო თანხების გამოთხოვას.

17. ამას გარდა, სესიის სრულიად აუცილებლად და მიზანშეწონილად სთვლის, რათა გათვალისწინებულ იქნეს სათანადო დანიშნულებანი ამიერკავკასიის კურორ-ტებისათვის ფინანსიურად ხელის გასამართავად, რომელ კურორტებსაც უმთავრე-სად საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს, და ამავე დროს-კი ისინი არ არიან შესაფეროსად კეთილმოწყობილი. კურორტებისათვის გაღებული თანხების ნაკლე-ბობამ წარსულ წლებში შეუძლებლად გახდა ამიერკავკასიის უმეტესად ძვირფასი კურორტების აღდგენა.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 14. ქ. განჯა.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 1364 №-ში 1926 წ. დეკემბრის 25-ს.

**79:3.** ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს  
მმართველის ამხ. გ. გრიგორიანის მოხსენების გამო—მოსა-  
ხლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მიზნებისა და მისი  
წარმატებით განხორციელების პირობების შესახებ.

მოიმინა რა მოხსენება მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მიზნე-  
ბისა და მისი წარმატებით განხორციელების პირობების შესახებ და აღნიშნა რა:

1) რომ საბჭოთა სახელმწიფოს თავის მსვლელობაში სოციალიზმის გზით  
ყოველ ნაბიჯზე ესაკიროება რაც შეიძლება სრული ცნობები საწარმოო ძალთა  
გეგმიანი განვითარების შესახებ;

2) რომ ამ ცნობათა შორის დღეს განსაუტრებული მნიშვნელობა აქვთ  
ცნობებს მთლად ჩვენი კავშირის მოსახლეობის შესახებ;

3) რომ საჭიროა სახელმწიფომ იკოდეს, თუ რა მოსახლეობისათვის აშე-  
ნებს იგი ახალ ცხოვრებას და მშრომელთა რომელი არმიის დახმარებით ეწვეა  
იგი სოციალისტური აღმშენებლობის საქმეს მრავალტომიანი და მრავალგრანიანი  
მოსახლეობის ცხოვრების პირობებში, რომელ მოსახლეობასც უაღრისად როუ-  
ლი ეროვნული და ყოფა-ცხოვრების პირობების სხვადასხვაობა ახასიათებს;

4) რომ აღგილობრივი ხელისუფლების სწორი ორგანიზაციის საკითხები;  
ფართო სასკოლო ქსელისა და მოსახლეობისათვის საექიმო-სასანიტარო დახმა-  
რების საკითხები; მომარაგების მოწყობისა და მრავალი სხვა ანალოგიური საკი-  
თხები მოითხოვენ ჩვენგან ზედმიწევნით ვიცოდეთ მოსახლეობის შედგენილობა  
სქესისა, ასაკისა, ეროვნებისა, მშობლიური ენისა, ხელობისა და სხვ. მიხედვით;

5) რომ მხოლოდ მეცნიერულ ნიადაგზე მოწყობილ მოსახლეობის საყველ-  
თაო აღწერას შეუძლიან აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა, და რომ კავ-  
შირის მთავრობამ დაადგინა მოაწყოს ეს აღწერა ამ წელს—დეკემბრის 17-ს;

6) რომ საბჭოთა სახელმწიფომ აღწერის წარმატებით განხორციელებისა  
თვის მთლად თავისი ძალების მობილიზაცია უნდა მოახდინოს,—

ამიერკავკასიის მე-III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-  
ტის მე-3 სესიია მოუწოდებს ხელისუფლების ყველა ორგანოს და აგრეთვე ამიერ-  
კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქა-  
ლაქეს ყველენგარად ხელი შეუწყოს აღწერის წარმატებით დამთავრებას, რის-  
თვისაც უნდა ახსოვდეს, რომ აღწერით მიღებული ცნობები მთავრობისა და  
საზოგადოებრივმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ მასალად თავისი მოქმედები-  
სათვის და ყველა ღონისძიებისათვის, რაც მიმართული იქნება საბჭოთა სახელ-  
მწიფოებრიობის განმტკიცებისაც მთლად ჩვენი საწარმოო ძალების სწორი  
აღრიცხვის საფუძველებს.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 12. ქ. განჯა.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“ № 1365 და 1926 წ. დეკემბრის 24-ს.

**794.** სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. კარინიანის მოხსენების გამო— ლენინაკანის რაიონში მომხდარი მიწისძვრის შესახებ.

ამიერკავკასიის მე-III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიიმ, მოისმინა რა სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კარინიანის მოხსენება ლენინაკანის მიწისძვრის შესახებ, იგი მურვალე თანაგრძნობას უცხადებს ქ. ლენინაკანისა და მისი რაიონის მოსახლეობას იმ სტიქიური უბედურების გამო, რომელიც მას თავს დაატყდა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიია კმაყოფილებას გამოსთვეას იმ მუშაობის გამო, რაც გაწია სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობაშ და ა/კსფსრ-ის მთავრობაშ და აგრეთვე საბჭოთა საზოგადოებრიობაშ დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიია განსაკუთრებულად აღნიშნავს ლენინაკანში დაბანაკებული № დივიზიის თავგანწირულ მუშაობას დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად, სათანადო წესრიგის განსამტკიცებულად და მოსახლეობის ქონების დასაცავად სტიქიური უბედურების დროს.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებისა, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საკავშირო მთავრობის გულითადმა, სწრაფმა და ოვალსაჩინო დახმარებაშ საშუალება მისცა დაზარალებულ მუშებსა და გლეხებს კვლავ წელში გასწორებულიყვნენ საშინელი მიწისძვრის შემდეგ და რწმენით შესდგომოდენ მუშაობას ლენინაკანისა და მისი რაიონის აღდგენისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიია მტკიცე რწმენას გამოსთვევას, რომ მთლიად საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისა და საკავშირო მთავრობის ძალით სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამრეწველო და მუშათა ცენტრი— წითელი ლენინაკანი— აღდგენილ იქნება.

სესიია მოუწოდებს ამიერკავკასიისა და მთლიად კავშირის მუშებსა და გლეხებს განაგრძოს ძმური დახმარების აღმოჩენა ლენინაკანის მუშებისა და გლეხებისათვის ლენინაკანის აღდგენის საქმეში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 13. ქ. განჯა.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტკა“-ს 1365 №-ში 1926 წ. დეკემბრის 28-ს.

**795.** აზერბაიჯანის სოც. ხაბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. მუსაბეკოვის მოხსენების გამო.

ა. მოისმინა რა აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება, ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მე-3 სესიია აღნიშნავს აზერბაიჯანის შრომელთა მიღწევებს მუშაობის ყველა სფეროში და სავსებით იწონებს აზერბაიჯანის სსრ-ის მთავრობის მოქმედებას.

ომის დროს დანგრეული და მუსავატელების ბატონობის ხანაში დაცემული, ერთ წერტილზე მდგარი აზერბაიჯანის სსრ-ის მრეწველობის მრავალი დარგი პროლეტარიატის გმირობით ომის წინადროინდელ დონემდე იქნა აყვანილი. აზერბაიჯანის ნაეთის მეურნეობა, რომელიც ამ ეამად თითქმის მთლად ელექტროფიკაციის მინილია და რომელმაც ფართოდ განახორციელა ყველა წარმოებით პროცესის რაციონალიზაცია, უკვე ზედ ებჯინება ომისდროინდელ დონეს. ნაეთის მრეწველობასთვის ერთად დიდ წარმატებებს ვამჩნევთ სახელმწიფო მრეწველობის სხვა დარგებსაც. სესიის უფრო მეტის კმაყოფილების აღნიშნავს ახალ სამრეწველო აღმშენებლობას, რომლის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს მრეწველობის ახალი კერის გაღიცება ქ. განჯაში, სადაც უკვე აგებულია მაუდის ფაბრიკა, საპონ-ზეთის ქარხანა და სხვ..

სოფლის მეურნეობის დარგში უკვე გასულ წელს გადამეტებულ იქნა ომის წინადროინდელი სათესი სივრცე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქვირფასი ტეხნიკური კულტურების ნათესის წარმატებით განვითარება. იზრდება აგრეთვე გავლენა აგრო-პუნქტებისა, რომელთა რიცხვი თვალსაჩინოდ გადიდდა; რევოლუციის მთელი დროის განმავლობაში პირველად მოეწყო რამდენიმე საცდელი სასელექციო სადგური; ძლიერდება გლეხობის სურვილი, რომ თავისი მეურნეობა ინტენსიური წესით აწარმოოს.

არანაკლებ საყურადღებოა მიღწევები კულტურულ დარგში, რომელმაც აზერბაიჯანის სსრ-ის მთავრობის მუშაობაში თითქმის მთავარი ადგილი დაიკირა. ფართოდ გაშლილ სასკოლო ქსელში, რომელიც  $6\frac{1}{2}$  წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა, ამ ეამად სასკოლო იასკის ბავშვთა თითქმის ნახევარი შედის; განმტკიცდა მუშათა ფაკულტეტისა, უმაღლესი სასწავლებლებისა, პროფ. ტეხნიკუმებისა და სხვ. მდგომარეობა. სახალხო ჯანმრთელობის დარგში მოწყობილია მაზრობრივ ახალი სააგადმყოფოები, საექიმო და საფერმლო პუნქტები, და სხვ..

ბ. აღნიშნავს რა აზერბაიჯანის სსრ-ის მუშებისა და გლეხების ამ ძირითად მიღწევებს, ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მე-3 სესიია აუცილებლად სთვლის, რომ:

1. მრეწველობის სფეროში—ყოველმხრივ განვითარდეს ის დარგები, რომელთაც აზერბაიჯანის სსრ-ში აქვთ ნედლეულობის მტკიცებაზადაც ყველა წინასწარი პირობა, იმისათვის, რომ ისინი სრულიად რენტაბელური იყვნენ, ხოლო უწინარეს ყოვლისა—საფეიქრო და სამთამაზნო მრეწველობა. სახელმწიფო მრეწველობის ახალი აღმშენებლობის გახვითარებასთან ერთად სათანადო ყურადღება

უნდა მიექცეს შინამრეწველობის განვითარებასაც, რაც აზერბაიჯანის სსრ-ის პირობებში უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

2. სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს:

ა) ძეირფასი ტეხნიკური კულტურების, — უმთავრესად ბამბის, — ნათესის ყოველგარად განვითარებას, რისთვისაც უფრო ინტენსიურად უნდა სწარმოებდეს სოფლის მეურნეობა და მოსავლიანობაც, უპირველს ყოვლისა, გადიდებულ უნდა იქნეს იმ მიწებზე, რაც ამ უამაღ უკვე მორწყულია;

ბ) რადგანაც ნათესის სივრცის გაფართოება, ობიექტიური პირობების გამო, შეიძლება მხოლოდ ახალი მიწების მორწყვით, ყურადღება უნდა მიექცეს პიდრო-ტეხნიკურ სამუშაოთა მაქსიმალურ განვითარებას, რისთვისაც ყოველწლიურად უნდა გადიდეს ადგილობრივი ასიგნაციი. ამას გარდა, მუდანის პრობლემა, რაც რამდენიმე ასი ათას დესეტინა ნოკიერ მიწას მოგვცემს, აუცილებლად მოვარებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება საჩქაროდ;

გ) მსხვილფეხა საქონლის ჭირი, რაც ასუსტებს გლეხის მეურნეობას, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ განმტკიცებული არ არის, უმოკლეს დროში უნდა იქნეს მოსპობილი და მის წინააღმდეგ ბრძოლა სოფლად წარმოებულ მუშაობასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციის ყურადღების ცენტრს უნდა წარმოადგენდეს.

3. რადგანაც აზერბაიჯანის სსრ-ში დიდი უგზონობაა, რაც თვალსაჩინოდ აბრკოლებს სოფლის მეურნეობის გეგმაშეწონილ განვითარებას, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საგზაო ღმმშენებლობის განვითარებას. აუცილებლად უნდა იქნეს ცნობილი ჯულფა-ბაქოს რკინისგზის, უახლოესი წლების განმავლობაში, საბოლოო პუნქტამდე მიიყვანა.

4. რადგანაც სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შემდგომ განვითარებას წინ ელობება საჭირო რაოდენობის იაფი ელექტრო-ენერგიის უქონლობა, რომელი ენერგიაც უაღრესად საჭიროა როგორც მინდვრების მექანიკური მორწყვისა და გასაინდუსტრიალიზებელი ახალი ცენტრებისათვის, ისე მთლად დანარჩენი მრეწველობისათვის, — მიექცეს სსრ კავშირის ცენტრალური ორგანოების ყურადღება იმ გარემოებას, რომ აუცილებლად საჭიროა — როგორც უპირველესი მიზანი — აზერბაიჯანის სსრ-ში ელექტრო-აღმშენებლობის გაძლიერება, რისთვისაც აგებულ უნდა იქნეს პიდრო-ცენტრალი.

5. აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კონკერაციის უახლოეს დროში კიდევ უფრო მეტი ადგილი უნდა დაიკიროს აზერბაიჯანის სსრ-ის სახალხო მეურნეობაში და აგრეთვე სოფლის ეკონომიკის გარდაქვნაში. აზერბაიჯანის სსრ-ის მთავრობამ საჭიროებისადმიხედვით უნდა გაატართოს თავისი კომპერატივების ქსელი, მან უნდა აიღოს სასოფლო-სამეურნეო კომპერატივების სპეციალიზაციის კურსი და უნდა მიაქციოს კომპერატივის ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა მან საკუთარი სახსარი გააძლიეროს.

6. აღნიშვნას რა აზერბაიჯანის მთავრობის ეროვნული პოლიტიკის უეჭველ სისწორეს, რომელი პოლიტიკაც დაგვირგვინებულია დაურღვეველი ეროვნული მშეიდობიანობით, — ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მე-3 სეს-

სია გამოსთვეობს სტულ რწმენას, რომ მომავალშიაც ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები მტკიცედ იქნება დაცული, რაც აზერბაიჯანის სსრ-ის ეკონომიკური და კულტურული განვითარების პირველი და უმნიშვნელოვანესი პირობაა.

დ. თუმცა აზერბაიჯანის სსრ-ს თვალსაჩინო მიღწევები აქვს კულტურული აღმშენებლობის დარღვი, მაგრამ მაინც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ საუკუნოებრივი ჩაგვრის გამო აზერბაიჯანის მოსახლეობა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, მოკლებული იყო საშუალებას გეგმაშეწონილად და წარმატებით გაეფართოებინა თავისი კულტურა; ამიტომ აზერბაიჯანი დღეს ტეხნიკურად და კულტურულად უფრო ჩამორჩენილია. ამის გამო სესსია აუცილებლად სცნობს განგრძობილ იქნეს შეუდრეველი ბრძოლა ამ ფრონტზე და სახსართა და ძალთა მაქსიმუმი მოხმარდეს სახალხო განათლების საქმეს, რომელშიაც რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოხდეს პროფესიური და სასოფლო-სამეურნეო გადახრა. საჭიროა აგრეთვე აზერბაიჯანის სსრ-ის მაზრებში ჯანმრთელობის საქმის თანადათან გაძლიერება. ამასთანავე, რადგანაც ახალ თურქულ ალფაბეტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანის სსრ-ის კულტურული აღმშენებლობისათვის, საჭირო იქნეს ცნობილი მისი განხორციელების საქმის კიდევ უფრო გაძლიერება და ამ ალფაბეტზე გამომცემლობის წარმოების გაფართოება.

• ე. ბოლოს, აღნიშნავს რა, რომ აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკის დიდი წარმატება აქვს მშრომელი ქალისა და განსაკუთრებით თურქი-ქალის (რომელიც რევოლუციამდე სტულიად უუფლებო იყო) განთავისუფლების საქმეში, სესსია საჭიროდ სცნობს განგრძობილ იქნეს ინტენსიური მუშაობა ამ მიმართულებით, ჩაბმულ იქნება ქალები წარმოებაში და საზოგადოებრივ მუშაობაში და ხმარებულ იქნეს სათანადო ლონისძიებანი მათ მოსამართებლობის და მათი კვალითურიკულის ასამაღლებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წლის დეკემბრის 14. ქ. განჯა.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 1365 №-ში 1926 წ. დეკემბრის 28-ს.

**796.** განჯის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვეზიროვის მოხსენების ვამო.

მოისმინა რა მოხსენება განჯის აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსია საესხით იწონებს მის მუშაობას. კერძოდ, აღნიშნავს რა, რომ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოებული მუშაობა მაზრაში და ქალაქში ეროვნული საკითხის მოსაგვარებლად უსათუოდ სწორეა, ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის

მე-3 სესსია გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ განჯის აღმასრულებელი კომიტეტი მომავალშიაც მტკიცედ განაგრძობს საბჭოთა ხელისუფლების პრინციპების განხორციელებას ამ სფეროში.

ამავე დროს და აზერბაიჯანის სსრ-ის მთავრობის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში იღნიშნულ საერთო ონისძიებებთან ერთად, ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მე-3 სესსია საჭიროდ სცნობს, რათა ქ. განჯისათვის, როგორც ახლად აღორძინებულ მრეწველობის ცენტრისათვის, სასწრაფოდ განხორციელებულ იქნეს შემდეგი ონისძიებანი: ა) მუშათა საბინაო აღმშენებლობის გაფართოება; ბ) მუშაობის გაძლიერება ქალაქის კეთილმოსაწყობად და, უპირველეს ყოვლისა, წყალსადენის გასაცვანად; გ) ქალაქ-სამკურნალოს მოწყობა.

სოფლის მიმართ, გარდა გლეხის მეურნეობის გასაძლიერებლად საჭირო ონისძიებათა განხორციელებისა, უნდა გაუმჯობესდეს ქვემდგომი საბჭოთა აპარატი, რათა იგი მოსახლეობას დაუახლოედეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 14. ქ. განჯა.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 1366 №-ში 1926 წ. დეკემბრის 29-ს.

## დადგენილება № 46 პასუსრ სახალხო კომისარობა საგზოსი

**797.** ა/ქსფსრ-ში სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსაღებისა და ბაჟის მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების 32 და 33 მუხლის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსაღებისა და ბაჟის მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების (ა/ქსფსრ-ის ქან. კრებ. 1926 წ. № 4, მუხ. 638) 32 და 33 მუხლის შესაცვლელად, ა/ქსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო აღეცნ:

ზემოაღნიშნული მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 32. უკეთუ ვაჭრობა არ შესდგა, აწერილი ქონების რეალიზაცია მოხდება სამეურნეო წესით.

აღნიშნული წესით ქონების რეალიზაციის უფლება ეკუთვნის: უკეთ უ ნარჩენი პირდაპირ გადასახადისაა — ფინანსთა ინსპექტორს, უკეთუ იგი არაპირდაპირი გადასახადისაა — არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორს.

აწერილი ქონების რეალიზაციის ჟუცილებლად უნდა დაესწროს ბეგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მმართველობის განყოფილების წარმომადგენელი და უსათუოდ უნდა შესდგეს სათანადო აქტი, რომელსაც ხელს მოაწერს როგორც ის პირი, ვინც რეალიზაცია მოახდინა, ისე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მმართველობის განყოფილების წარმომადგენელი.

აწერილი ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა განაწილდება ამა წესების 28 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

გადაუხდელი ნარჩენი მოიხსნება ანგარიშიდან, როგორც უმშედო, გადასახადთა გადახდევინების დებულების 40—45 მუხ. მიხედვით“.

„მუხ. 33. მეორე ვაჭრობა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, უკეთუ იქნება ისეთი განსაზღვრული ნიშნები, რაც შეიძლება იმედს იძლეოდეს, რომ მეორე ვაჭრობა ბევრად უკეთესი შედეგით დამთავრდება, ვიდრე სამუშაოები წესით ქონების რეალიზაცია.

მეორე ვაჭრობა დაინიშნება არა უადრეს ერთი კვირისა პირველი ვაჭრობის დღიდან; ამასთანვე, თუ საჭირო იქნება, ეს ვაჭრობა შეიძლება სხვა ადგილას დაინიშნოს. მეორე ვაჭრობა სწარმოებს პირველი ვაჭრობისათვის დაგენილი წესისამებრ, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ვაჭრობა დაიწყება ამ (მეორე) ვაჭრობაზე შეძლეული პირველი თანხით და იგი შემდგარად ჩაითვლება, თუნდაც ვაჭრობაზე შეძლეული უდიდესი თანხა ქონების შეფასებაზე ნაკლები იყოს“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე მ. ოჩახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი ნ. ხოკოლოვსკი.

1927 წ. დეკემბრის 2. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 1366 №-ში 1926 წ. დეკემბრის 20-ს.

## დადგენილება № 57/113 აპსცსრ შინა-კაშრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამსართველო)

1926 წ. დეკემბრის 29.

**79. რაფინად-ზაქრის ცალობითი ფასების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კსფსრ შინა-კაშრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ 1924 წლის ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შე-3 მუხლის „გ“

პუნქტის საფუძველზე ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წ. ოქტომბრის 5-ის თარიღისა და 44/100 №-ის, დადგენილებისა და ა/ქსფსრ შინავაჭრობის კომისიის 1924 წლის პრილის 12-ის თარიღისა და 18 №-ის დადგენილების შესაცვლელად და დასამატებლად — ადგენის:

1. დაწესებულ იქნეს რაჭინად-შაქრის შემდეგი მაქსიმალურ უკიდურესი ცალბითი და საგასაცემო ფასები სახელმწიფო ვაჭრობისა, კონკრეტული და კერძო ვაჭრობისათვის ამიერკავკასიის რეინისგზის ხაზე მდებარე ქალაქებსა და ადგილებში:

ნატეხი შაქარი	დახერხილი	ნაჭრობით	თავობით
საქართვ. სსრ-ში 1 კილოგრ.	ფასი 77 კაპ.	78 კაპ.	75 კაპ.
		73 კაპ.	

**შენიშვნა.** ქ. ტფილისა და ბათომში შაქარი თავობით გაიცემა 72 კაპ. 1 კილოგრამი.

ნატეხი შაქარი	დახერხილი	ნაჭრობით	თავობით
აზერბაიჯ. სსრ-ში 1 კილოგრ.	ფასი 76 კაპ.	77 კაპ.	74 კაპ.
სომხეთის სსრ-ში 1 კილოგრ.	ფასი 77 "	78 "	75 "
ნახჩევან. მხარეში 1 კილოგრ.	ფასი 78 "	79 "	76 "
			73 "

2. ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკასა. აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკასა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში უნდა დააწესონ რაფინად-შაქრის მაქსიმალურ უკიდურესი ცალბითი ფასი ამიერკავკასიის რეინისგზის ხაზის გარეშე მდებარე ადგილებისათვის ამა დადგენილების 1-ლ მუხლში იღნიშული ფასების მიხედვით, ხოლო, ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ღირებულება შარაგზით შაქრის გადატანისა რეინისგზიდან გაყიდვის ადგილამდე.

3. ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ა/ქსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში დაევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1927 წლის იანვრის 1-დან.

ა/ქ. შინა-ვაჭრობის სახალო კომისარის მაგისტ ათაბეკოვი.

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი ნოვიკოვი.

საქმეთა მმართველი ჩაკერტი.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 1367 №-ში 1626 წ. დეკემბრის 30-ს.

# სავალდეგულო დადგენილება აკცენტს-ის უგალლეს ეკონომიკურ საგზოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეცნიერი პროგნოსისა

1926 წლის დეკემბრის 22.

**799.** ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე საბუხალტერო ჩანაწერისა და  
საანგარიშო და სააღნუსხვო ოპერაციებისათვის მეტრული  
სისტემის შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ოქტომბრის 29-ის  
თარიღისა და 53 №-ის დადგენილების მე-11 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე  
ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. მეტრულ სისტემაზე გადასვლა საბუხალტერო ჩანაწერისა და საანგა-  
რიშო და სააღნუსხვო ოპერაციების დარგში მოხდება მეურნეობის ცალკე სახეოთა  
მეტრიზაციის ვადების მიხედვით, რომელი ვადებიც დაწესებულია ამიერკავკასიის  
საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის სავალდებულო დადგენილებებით.

2. მეურნეობის იმ დარგებში, რომლებისთვისაც მეტრიზაციის ვადა და-  
დგენილი არ არის, მეტრული სისტემა ყოველგვარი სახის საბუხალტერო, სა-  
კრედიტო და საანგო ცნობის ჩაწერისათვის შემოღებულ იქნება მხოლოდ ახალი  
საანგარიშო წლის დამდეგიდან.

3. რომელიმე სამეურნეო ერთეულის მეტრულ სისტემაზე გადაყვანა არ  
არის დამოკიდებული საბუხალტერო ჩანაწერთა მეტრიზაციაზე და შეიძლება  
მოხდეს უფრო ადრე, ყოველი თვის 1-ლი რიცხვიდან, მიუხედავად იმისა — სა-  
ბიუჯეტო წლის დამდეგს მოხდება ეს გადაყვანა, თუ შუა ხანში; გადაყვანა უნდა  
მოხდეს ისე, რომ ნატურად ხელთქონებული ინვენტარის შეფარდება ჯამების ჩანა-  
წერთან 1-ლი რიცხვისათვის რუსულ და მეტრულ ზომებში პარალელურად არ  
სწარმოებდეს.

4. მეტრულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ ყოველი ანგარიში, სატვირთო  
ბარათები, სათვალავი, ხარჯთაღრიცხვა, პრეისკურანტი, ხელშეკრულება, გარი-  
გება და სხვა დოკუმენტი შედგენილ იქნება და მიიღება მხოლოდ მეტრული  
საზომით. საქონლისა და მასალის ფასი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს მეტრული  
ერთეულებით.

ფასის რომელიმე სისტემიდან მეტრულ სისტემაზე გადატანა ისე უნდა  
მოხდეს, რომ მისი წინანდელ სისტემაზე ხელისხმა გადატანის დროს შედეგი  
ეთანაბრებოდეს პირვენდელ თანხას, პრაქტიკული ზედმიწევნობის შესაძლებლო-  
ბის ფარგლებში, რაც დადგენილ იქნება საუწყებო წესით და შეთანხმებული  
ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრულ კომისიასთან.

5. საბუხალტერო ჩანაწერისა და საანგარიშო და სააღნუსხვო ოპერაციე-  
ბის ძევლი ზომა-წონიდან მეტრულ სისტემაზე გადატანის დროს დაწესებულებამ  
და საწარმომ სახელმძღვანელოდ უნდა მიიღოს სამრეწველო და საბითუმო, ნა-

ხევარ-საბითუმო და ცალობითი ვაჭრობის ის ძირითადი მეტრული ერთეულები, რაც დაწესებულია ან რაც შეიძლება დაწესებულ იქნეს ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის სავალდებულო დადგენილებით.

6. ეს სავალდებულო დადგენილება გავრცელდება საბუხპალტერო და სა-ანგარიშო ოპერაციებზე წარმოებითი აღნუსხვაში რაოდენობითი გაზომებისა და საკალკულიაციო მუშაობის წარმოების დროს. ხოლო რაც შეეხება მეტრულ სა-სტანდარტო ერთეულებს, მეტრულ სორტამენტებს, ნორმალებს და სხვ., და აგრეთვე საქონლის ხარისხის მეტრულ ერთეულებით გამოსახვას,—ეს დაწესებულ იქნება ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის ცალკე სავალდებულო დადგენილებით.

**შეინშვნა.** ოოდესაც მიღებულ იქნება არა მეტრული ასორტიმენტის მასალა, ჩიბარების დროს ღოკუმენტში იგი აღინიშნება იმ ასორტიმენტით, რა ასორტიმენტითაც იგი წარმოდგენილია, ხოლო აუცილებლად მეტრული სისტემით უნდა აღინიშნოს ამ მასალის საერთო წონა, მოცულობა ან სხვა საზომი,—იმისდამხედვით, თუ რა ერთეულით აღინიშნება იგი.

7. ამა სავალდებულო დადგენილების განხორციელება და მისი ალსრულებისათვის თვალყურის დევნება დაეკისრება ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიკური თათბირების განსაკუთრებულ რწმუნებულებს.

8. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის  
თავმჯდომარის მთადგილე ინუნძერი გუნცაძე.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის მდივანი ხარატიანი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ № 1367 № ში 1926 წ. დეკემბრი 30-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმა- სრულებელი კომიტეტისა და აკადემიურ სახალხო კო- მისართა საგარენტო

**800.** ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს დებულების 1-ლი მუხ-  
ლისა და მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს შესახებ 1926 წლის აგვისტოს 9-ს დამტკიცებული დებულების (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1926 წ. № 9, მუხ. 711) შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმა-  
სრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

აღნიშნული დებულების 1-ლი მუხლი და მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი შეცვლის დადგენილებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტო არის ა/ქსფსრ-ის საიმპორტო მაციო ორგანო, რომლის დანიშნულებასაც შეაღებენ — შეაგროს და გაავრცელოს ა/ქსფსრ-ის ტერიტორიაზე ყოველგვარი პოლიტიკური, ფინანსურული, ეკონომიკური, საგანკრო და სხვ. ცნობები და აგრძელება გაავრცელოს ა/ქსფსრ-ის ტერიტორიაზე საერთო-საკავშირო და უცხოეთის ინფორმაცია და გადასცეს ხოლმე სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკასიის ინფორმაცია“.

„მუხ. 2. პუნ. „ე“. გაავრცელებს, სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს მინდობილობით, უცხოეთისა და საერთო საკავშირო ინფორმაციას, რისთვისაც იხელმძღვანელებს სსრკ-ის დეპეშათა სააგენტოს დორექტივებს“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ოჩახელაშვილი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 27. ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1368 №-ში 1926 წ. დეკემბრის 31-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის შენტრალური აღმა- სრულებელი კომიტეტის

**801. სოფლის საბჭოების მიერ საფოსტო ნიშნების გაყიდვის შესახებ.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის ნოემბრის 5-ის თარიღის დადგენილების (სოფლის საბჭოების მიერ საფოსტო ნიშნების გაყიდვის შესახებ სსრკ-ის კან. კრებ. 1926 წ. № 72, მუხ. 556) საფუძვლზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგინა:

წინადალება მიეცეს ა/ქსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაწესონ სოფლის საბჭოების ტერიტორიაზე, სადაც საფოსტო უწყების დაწესებულება არ არის, სოფლის საბჭოების მიერ საფოსტო ნიშნების სავალდებულო გაყიდვა — იმ წესისამებრ, რაც განსაზღვრული იქნება სსრ კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამშართველოს (ა/ქსფსრ-ში) მიერ ა/ქსფსრ-ის შედგენილობაში შევივლი რესპუბლიკების მთავრობებთან შეთანხმებით გაშოცემულ სპეციალურ ინსტრუქციაში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წ. დეკემბრის 27. ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1368 №-ში 1926 წ. დეკემბრის 31-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის ჩენტრალური აღმა- სრულებელი კომიტეტისა და აპსცის სახალხო კო- მისართა საგზოსი

**802.** ა/ქსფსრ-ის სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ და-  
პერილი სადგომების საიჯარო ქირის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სოციალური დაზღვევის ორგანოები მათ მიერ დაპერილი სადგომების საიჯარო ქირის გადახდაში გათანასწორებულ იქნენ სახელმწიფო მფარავებაზე მყოფ დაწესებულებებთან და საწარმოსთან.

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1926 წლის დეკემბ-  
რის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1626 წ. დეკემბრის 27. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1368 №-ში 1926 წ. დეკემბრის 31-ს.

## დადგენილება № 75 პ. შრომის სახალხო კომი- სარიატისა

1926 წ. დეკემბრის 15.

**803.** სამთო სამუშაოთა წარმოების დროს უშიშროების დაცვის  
წესების 258-262 სს-ის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა—შემოღებულ  
იქნეს სამოქმედოდ ა/ქსფსრ-ის ტერიტორიაზე სსრკ-ის შრომის სახალხო კომი-  
სარიატისა და სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1926 წლის სექ-  
ტემბრის 2-ის თარიღის (შრომის სახ. კომისარიატის № 192-376) დადგენილება  
სამთო სამუშაოთა წარმოების დროს უშიშროების დაცვის წესების 258-262  
სს-ის შეცვლის შესახებ (გამოქვეყნებულია „სსრკ-ის შრომის სახ. კომისარიატის  
იზვესტია“-ს 35 №-ში 1926 წლის სექტემბრის 23-ს, გვ. 4—6).

ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარი იაშვილი.

ა/ქ. შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყ. გამგე ნახყიდოვი.  
ტეხნიკური უშიშროების სექციის გამგე პოლისადოვი.

# დადგენილება სსრპ შრომის სახალხო კომისარის- შისა და სსრპ სახალხო მეურნეობის უზაღლესი საგზოსი

სამთო სამუშაოთა წარმოების დროს უშიშროების წესების 258-262  
წესის შეცვლის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკური შრომის სახ. კომისარიატებს.

1926 წ. სექტემბრის 2. შრომის სახ. კომისარიატის № 192-376.

სსრპ შრომის სახალხო კომისარიატი და სსრპ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ადგენენ:

სსრპ შრომის სახალხო კომისარიატისა და სსრპ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ 1924 წლის ნოემბრის 25-ს (შრომის სახ. კომისარიატის № 480—488) დამტკიცებული სამთო სამუშაოთა წარმოების დროს უშიშროების დაცვის წესების (გამოკვეყნებული ცალკე გამოცემის სახით) 258-262 წესის მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„§ 258. ქვა-ნახშირის ფენი, რომელიც საფენო სინჯის მიხედვით შეიცავს 10% -ზე მეტს მქროლავ ნივთიერებას, რაც უწყლო და უნაკრო მასსას მიეკუთვნება და რაც მთავრობის ზედამხედველობის ორგანიზების მიერ მტკრის რაოდენობის მიხედვით საშიმრად იქნება ცნობილი, უნდა დამუშავდეს ისე, რომ აუცილებლად გამოკვეყნებულ იქნეს ინერტული მტკრით დაცვა: ა) მოფიქალებით. ბ) საფარვილების მოწყობით და გ) აფოქების დროს შპურების გარედან ამოვებით.

უკეთე შახტა ან შტოლნა ამუშავებს ცალკე ფენებს ან ფენების წყებას, რომელთაგან თუნდაც ერთი მოითხოვს ინერტული მტკრით დაცვას, ეს უკანასკნელი აუცილებლად გამოკვეყნებულ უნდა იქნეს არა მარტო ამა თუ იმ ფენზე, არამედ ამ ფენის დანარჩენ ფენებთან შემაერთებელ და მათ გვერდით მდებარე ცველა სამუშაოზე, ისე, რომ იმ ნაკვეთების სივრცე, რომელიც თვითეულ დანარჩენ ფენს საშიშარი ფენებისაგან განაცალკევებენ, 300 მ. ნაკლები არ იყოს.

ინერტული მტკრით დაცვის მოთხოვნა არ გაურცელდება იმ შახტაზე და შტოლნაზე, რომლის სამუშაოთა შესახებაც მთავრობის ზედამხედველობის ორგანოები აღიარებენ, რომ ეს სამუშაოები განსაკუთრებულად სკელი სამუშაოებია.

მორწყვა შეიძლება, როგორც დამატებითი ლონისძიება ქვა-ნახშირის მტკრითან საბრძოლველად იმ ადგილებში, სადაც განსაკუთრებულად ბევრი მტკრი გროვდება, როგორც მაგალითად: სანგრევში და აგრეთვე შტოხევრილში — იმ ადგილის, სადაც პატარა ვაგონები ქვა-ნახშირით იტეიროთება და სხვ..

მთავრობის ზედამხედველობის ორგანოს საჭირო შემთხვევაში შეუძლიან მოითხოვს წარმოება, როგორც დამატებითი ლონისძიება ძირითადი დაცვისა, ე. ი. ინერტული მტკრით დაცვისა.

**შენიშვნა.** ამა პარაგრაფის მოთხოვნა შეფარდებულ უნდა იქნეს მე-3 კატეგორიის მაღაროში—სამი თვის გასვლისას და მე-2 კატეგორიის მაღაროში—ექვსი თვის გასვლისას ამა პარაგრაფის სამუქმედოდ შემოლების დღიდან, ხოლო 1-ლი კატეგორიის გაზიან მაღაროში და აგრეთვე უგაზო მაღაროში, სადაც ისეთი ფენები მუშავდება, რომელიც  $10\%$ -ზე მეტს მქროლავ ნივთიერებას შეიცავს,— მთავრობის ხედამხედველობის ორგანოების განსაკუთრებული დადგენილებით თვითებული მაღაროსათვის, რომელი დადგენილებითაც მაღარო შტრის გამო საშიშარ მაღაროდ იქნება აღიარებული.

„§ 259. ყველა იმ შახტაში, სადაც ინერტული მტვრით დაცვა სავალდებულოდ არის ცნობილი, უნდა სწარმოებდეს:

ა. ყოველგვარი ჭამგორი, სავენტილაციო, საგზაო, მოსამზადებელი და საკვლევი სამუშაოს მოფიქალება.

ახლად გასავლელ სამუშაოებში ნაფიქალევი 10 მეტრზე მეტად არ უნდა იყოს დაშორებული სანგრევიდან. მოფიქალებულ სამუშაოებში მტვერი ყოველ ადგილის  $60\%$ -ზე ნაკლებს ნაცარს; არ უნდა შეიცავდეს, ხოლო იმ მაღაროებში, სადაც შესაძლებელია მეტანი იყოს, მტვერი  $75\%$ -ზე ნაკლებ ნაცარს არ უნდა შეიცავდეს.

### ბ. საფარველების მოწყობა:

ა) შახტის არეს ფრთების იზოლაციისათვის ყოველ ფენში და აგრეთვე მოსაზღვრე ამოსალები ნაკვეთის იზოლაციისათვის ყოველ ფრთაში, როგორც შემავალ ისე გამომავალ ნაკადზე, და აფეთქებისაგან დაცვისათვის, რომელიც მოხდება მაღაროს ამა თუ იმ აღვილას.

ბ) მოსამზადებელი სამუშაოების დაცვისათვის, როგორიც არის, მაგალითად: ბრემსბერგი, დაქანება და სხვა, სიგრძით არა ნაკლებ 100 მეტრისა.

გ) აფეთქების გავრცელების თავიდან ასაცილებლად იმ ძელ ან შეჩერებულ სამუშაოებში, სადაც მოფიქალება, ტექნიკური მიზეზების გამო, შეუძლებელია.

ინერტული მტვრის რაოდენობა საფარველში უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 400 (როხასი) კგ. სამუშაოს 1 გარდიგარდმი კვეთილობის ყოველ კვადრატულ მეტრზე საფარველის მოწყობის აღვილას.

საფარველი უნდა მოეწყოს თაროებისა ან ყუთებისაგან სამუშაოს გარდიგარდმი სახურავის ქვეშ. თაროების კონსტრუქცია იმგვარი უნდა იყოს, რომ ის, რასაც ისინი შეიცავნ, აღვილად მიმოიბეს სამუშაოში ჰაერის მოხვედრით. თაროს (ყუთის) სიგანე 500 მმ. არ უნდა აღემატებოდეს; ამასთანავე თაროს ცალკე ფიცრები ერთმანეთზე მჭიდროდ არ უნდა იყოს მიკრული. მანძილი თაროებს (ყუთებს) შორის მათ სიგანეზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო მანძილი მიმაგრების ქვემ ნაწილში დანართებან საფარველის ინერტული მტვრის ზემო ხედაპირამდე— 10 სანტიმეტრზე ნაკლები. მთლად საფარველი სამუშაოს სიგრძეზე 20 მ. მეტი არ უნდა იყოს.

### 8. შპურების გარედან ამოვსების გამოყენება.

ინერტული მტვრის რაოდენობა 1,5 კგ. ნაკლებს არ უნდა შეადგინდეს თვითეულ შპურზე და თვითეულ მუხტზე, რომლის ასაფეოქებელი ნივთიერებაც 200 გრ. არ აღემატება. უკეთუ მუხტი გადიდებული იქნება, სათანადოდ უნდა გადიდდეს ინერტული მტვრის რაოდენობაც.

**შენიშვნა.** იმ შახტაში, საღაც გაზი უეცრად ჩნდება და აგრეთვე იმ შახტაში, რომელიც მთავრობის ზედამხედველობის ორგანოს მიერ მტვრის ან გაზის მხრივ განსაკუთრებულ საშიშრად იქნება ცნობილი, უნდა მოქადაცოს დამხმარე საფარველები შეა შტოხერელებზე, რომელი საფარველებიც არ გააგრცელებენ აფეთქებას მთავარ წამგორ სამუშაოში და მის საგზაო გასავალში. მტვრის რაოდენობა საფარველში უნდა იყოს არა ნაკლებ 100 (ასი) კგ. სამუშაოს გარღივარდმო კვეთილობის 1 კვადრ. მეტრზე საფარველის მოწყობის აღილას. საფარველის სიგრძე 6 მეტრზე მეტი არ უნდა იყოს სამუშაოს სიგრძეზე.

„§ 260. აფეთქებისაგან დასაცავად გამოსაყენებელი ინერტული მტვერი: ა) თავის შედგენილობაში 5% -ზე მეტს საჭვავ მასალას არ უნდა შეიცვდეს; ბ) არ უნდა შეიცვდეს 25% -ზე მეტს თავისუფალ მკაფიოს; გ) არ უნდა ისრუტავდეს ისეთი რაოდენობის სინოტივეს, რომ იგი შეიკრის და დაკარგოს მშრალი მტვრის თვისება, ე. ი. შეეძლოს ნელი შებერვით ჰერში ტრიალი; დ) შეიძლება დამზადებულ იქნეს ქვაკირისაგან, ცარცისაგან, დოლომიტისაგან, თიხაფიქალისაგან ან საკვამლურის მჯროლავი ნაცრისაგან; სხვა ინერტული მასალისაგან დამზადება შეიძლება მხოლოდ მთავრობის ზედამხედველობის ორგანოს წინასწარი წებართვით; ე) ისე წვრილი უნდა იყოს, რომ 28 №-ის საცერში, ე. ი. ისეთ საცერში, რომელსაც ერთ ხაზითი სანტიმეტრზე 11-12 კვადრატული ნაჩვერტი იქნება, გაღიოდეს 100 პროცენტი, ხოლო 200 №-ის საცერში (ერთ ხაზითი სანტიმეტრზე 75-80 კვადრ. ნაჩვერტი) — 50 პროცენტი მოელი მტვრისა“.

„§ 261. მოფიქალებულ სამუშაოთა მტვერი მისი ნაცრისანობის გამოსარკვევად უნდა გაისინჯოს ხოლმე სამ თვეში ერთხელ მაინც, ხოლო განსაკუთრებით მტვრიან ფენში ან ცალკე სამუშაოში — უფრო ხშირადაც, როგორც მთავრობის ზედამხედველობის ორგანოები დააწესებენ.

სინჯი აღებულ უნდა იქნეს ყველა მოფიქალებულ სამუშაოში, რომლის სიგრძეც 25 მ. ნაკლები არ არის. იმ სამუშაოში, რომლის სიგრძეც 25 მეტრიდან 100 მეტრამდე, — აიღება ერთი სინჯი; 100 მეტრზე უგრძეს სამუშაოში სინჯი აიღება ყოველ 100 მეტრზე; მასთანავე არა სრული 100 მეტრი, 25 მეტრიდან დაწყებული, 100 მეტრად ჩაითვლება. სინჯი დაახლოვებით აღებულ უნდა იქნეს ცალკე ნაკვეთების შეა დღილას, რისაც შეუძლიან გამოარკვიოს ნაკვეთის საშუალო ძლიერების რაოდენობის მხრით.

გასასინჯი მტვერი აღებულ უნდა იქნეს სამუშაოს სახურავიდან, გვერდებიდან და მიმგრებიდან მთლიანი ზოლით 300 მ. სიგანეზე სამუშაოს გარდიგარდმო, რისთვისაც მთლიად მტვერი, რაც ამ ზოლშია, უნდა მოიხვეტოს ბეწვის ფუნჯით ან საგველით.

დაგროვილი მტვერი გაცრილ უნდა იქნეს სინჯვის მიღების ადგილას 20 №-ის საცერში, რომელსაც ერთ ხაზითი სანტიმეტრზე 7—8 კვადრატული ნაჩრეტი უნდა ჰქონდეს. მტვრის წერილი ფრაქტია უნდა ჩიყაროს ლითონის ჟურქელში, რომელსაც თავი მაგრად უნდა ეხურხებოდეს; ჟურქელზე უნდა აღინიშვნის: სინჯის ნომერი, სინჯის მიღების დრო და ადგილი და აგრეთვე სინჯის ამღების გვარი. მტვერი, რაც საცერში არ გავა, გადაიყრება.

ნიდაგის მტვრის სინჯი იოღება მხოლოდ მთავრობის ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნით. ეს სინჯი აღებულ და გამოცილ უნდა იქნეს ცალკე საერთო,—სახურავისა, გვერდებისა და მიმაგრების—მტვრის სინჯებისაგან.

შახტის მოფიქალებულ სამუშაოთა მტვრის ზემოაღნიშნულ სინჯის გარდა, გამოკვლეულ უნდა იქნეს იმ საფარველის ინერტული მტვრის სინჯიც, რომელიც შახტის თვალსაჩინო ნაკვეთს იცავს, რათა შესაძლებელი გახდეს იმის შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება ეს მტვერი 260 ჭ-ის მოთხოვნას.

ინერტული მტვერის გიგროსკოპიულობის გამოსარკვევად მტვრის სინჯი, წონით 10—20 გრ., უნდა დაიყაროს თავ-ახდილ ჯამზე და მოთავსდეს გრძელიული დახურულ ჟურქელში, რომელშიც წყალი ასხია. შეიდი დღის შემდეგ მტვერმა ამ ორთქლით გაუღენთილ ჰაერში უნდა შეინარჩუნოს თვისი მქროლობა.

როგორც შახტის მტვრისა, ისე ინერტული მტვერის ანალიზი, მასი ნაცრიანობის გამოსარკვევად, უნდა მოხდეს მთელი სინჯისათვის და ცალკე იმ ფრაქციისათვის, რომელიც გადის 75—80 კვადრატულ ნაჩრეტის (ერთ ხაზითი სანტიმეტრზე) შემნე საცერში; ამასთანავე ეს მტვერიც უნდა შეეფერებოდეს 259 ჭ-ის (მაღაროს მტვერისათვის) და 260 ჭ-ის (ინერტული მტვერისათვის) მოასხოვნას.

სინჯი გამოკვლეულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ორი კვირისა მისი მიღების დღიდან.

მტვრის გამოკვლევა მისი სიწვრილისა და ნაცრიანობის დასაღვენად, უნდა მოხდეს ზედმიწვნით 1,0 პროცენტამდე.

მტვრის ანალიზის შედეგი ჩაიწერება განსაკუთრებულ დავთარში, სადაც აღინიშნება: სინჯის ნომერი, წონა, დრო და ადგილი მიღებისა, სინჯის ამღები პირის გვარი, ანალიზის გაკეთების დრო და ადგილი და აგრეთვე ანალიზის შედეგი.

ყველი შახტა ვალდებულია იქონიოს გეგმა, რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს მოფიქალებული სამუშაო ადგილები და ყველა სტაციონარული მოწყობილობა ქვა-ნახშირის მტვერთან საბრძოლველიად, როგორც მაგალითად: საფარველები, სარწყავი ქსელი და სხვ., და აგრეთვე ნაჩვენები უნდა იყოს ის ნაკვეთები, სადაც უკანასკნელად მოხდა მოფიქალება, სინჯის მიღების ადგილი და სინჯის ნომერი.

უკეთუ შახტის მტვრისა და ინერტული მტვრის გასინჯვა გამოარკვეს, რომ მტვერი არ შეეფერება პირველ შემთხვევაში—259 ჭ-ის მოთხოვნას და მეორე შემთხვევაში—260 ჭ-ის მოთხოვნას, საჭროა ხელის მოხდეს სათანა-რო სამუშაოს მოფიქალება ან საფარველის ინერტული მტვრის შეცვლა”.

„§ 262. უკეთუ მოფიქალებულ სამუშაოში ქვა-ნახშირის მტვერი ბევრი დაღება—თვალით დასანას ფენად—უნდა მოხდეს დამატებითი მოფიქალება 261 ს-ში აღნიშნულ ვადმდე. ორცა საფარველზე ქვა-ნახშირის მტვერი და-გროვდება, იგი უნდა გაიხვეტოს.

თვეის დროზე მოფიქალებისა, საფარველების განახლებისა და აგრეთვე შპურების გარედან ამოვსების მოწყობისათვის, ყველა სამუშაოს სანგრევან მახლობლად და ზოგიერთ სხვა ადგილას,—ზაღაროს აღმინისტრაციის არჩევით ან მთავრობის ზედამხედველობის ორგანოს დასახელებით,—უნდა იდგეს ყუთები საქმაო ინერტული მტვრის მარაგით.

აკრძალულია გზების ქვა-ნახშირით მოყრა და ქვა-ნახშირზე გზის გაყვანა, უკეთუ მოყრილი არ არის ფუჭი ქანი 200 მმ. არანაკლები სისქისა.

სამივე კატეგორიის საგაზო მაღაროებში და აგრეთვე მტვრის მხრით სა-შიშრად ცნობილ მაღაროებში ხმარებულ უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებანი მტვრის დაგროვების წინააღმდეგ. ამ მიზნით იმ ადგილებში, სადაც მტვერი ინტენსიურად ჩნდება, სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს მტვრის გაწმენდა. ხოლო იმ სამუშაოში, სადაც მტვერი განსაკუთრებით ჩქარა და მრავლად გროვ-დება, მტვრის გაწმენდა და სამუშაო ადგილის გათეთრება უნდა სწარმოებდეს წელიწადში ოჯახერ მაინც და, უკეთუ მთავრობის ზედამხედველობის ორგანო საჭიროდ სცნობს, უფრო ხშირადაც. დალაქებისა და მტვრის გახვეტის დროს სათანადო ღონისძიება უნდა იქნეს ხმარებული, რომ ჰერში მტვერი სქლად არ დაღეს და სამუშაოების სხვა ნაკვეთზე არ გადავიდეს.

უკეთუ მტვერი შახტის ზემო შენობაში მრავლად ჩნდება ან ქვა-ნახშირის მტვერი ბევრი იყრება, სათანადო ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ მტვერი ან გაიხვეტოს ან უვნებელი გახდეს.

აკრძალულია ქვა-ნახშირის ზიდვა თხელი და დაზიანებული პატარა ვაგო-ნებით, საიდანაც ქვა-ნახშირი შეიძლება დაიბნას.

აკრძალულია დასაქანებელსა და გეზენგაში დარჩენილი ქვა-ნახშირის გა-ფხვერება ასაფეთქებელი ნივთიერების აფეთქებით.

ქვა-ნახშირის მტვრის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ზედამხედვე-ლობა და პასუხისმგებლობა ამა ღონისძიებათა განხორციელებისათვის უნდა დაეკისროს ვენტილაციის გამგეს, ხოლო მტვრის მხრით საშიშარ მაღაროებში, მთავრობის ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნით,—სპეციალურ პირს, რო-მელიც სხვა მოვალეობას არ ასრულებს.

ქვა-ნახშირის მტვრის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ღონისძიება, მათ შორის სამუშაო ადგილის მოფიქალება და მორწყვაც, უნდა განხორციელდეს გან-საკუთრებულ პირთა მიერ, რომელთაც სპეციალურად ამ საჭმისათვის დანიშნავს მაღაროს აღმინისტრაცია საქმით რაოდენობით. ყველა აღნიშნულ პირს უნდა ჰქონდეს ვრცელი წერილობითი განმარტება დაკისრებული მოვალეობის შესახებ. ამ პირთა გვარები და მათთვის მიცემული განმარტება შეტანილ უნდა იქნეს განსაკუთრებულ დავთარში.

ის პირი, რომელიც თვალყურს ადგვნებს ინერტული მტვრის გამოყენე-ბას და მორწყვას, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უახლოეს უფ-

როსს ყველა შემთხვევა, როდესაც სათანადო მასალის (ინერტული მტვერი, წყალი და სხვ.) ნაკლებობის გამო ან რაიმე მოწყობილობის თუ მისი ნაწილის დაზიანების გამო, შეუძლებელი იყო ინერტული მტვერის გამოყენება ან მორწყვა.

უკეთუ ინერტული მტვერის გამოყენება ან მორწყვა შეუძლებელი აღმოჩნდა, აფეთქება სათანადო პუნქტებში არ უნდა სწარმოებდეს“.

სსრკ შრომის სახალხო კომისარის მოადგილე ბახუთოვი.

სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე კვირინგი.

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის  
განყოფილების გამგის მაგიტ ზარომსკი.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს  
სამთო-ელექტრო სამმართველოს სამთო  
განყოფილების უფროსის მოადგილე იგნატიევი.

1926 წ. სექტემბრის 2. ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1368 №-ში 1926 წ. დეკემბრის 31-ს.